ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ მ, გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 185 სამშაბათი 14 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 185

დღიური

— გერმანიაში მდგომარეობა ძლიერ გართულდა. სამრეწველო ქალაქებს გაფიცვების ტალღა მოედო. მთავრობა ბერლინის გარშემო ჯარებს უყრის თავს მუშები მოითხოვენ კუნოს მთავრობის გადადგომას. გაზეთები უკვე ასახელებენ მომავალ პრემიერად შტრეზემანს. ბერლინის ფაბრიკა-ქარხნებზე წითელი დროშები ფრიალებს ზოგიერთ ქალაქებში პოლიციასა და მუშებს შორის შეიარაღებული შეტაკებები ხდება.

— მცირე ანტანტის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ს. ს. რ. კ. მიერ სრუტეების შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერას.

კავკასიის ცალკე არმიის არსებობისა და ბრძოლის ხუთი წლის თავზე საქართველოს მშრომელი ხალხი მხურვალე სალამს უგზავნის ამ არმიის გმირებს, რომლებმაც გაანთავისუფლეს კავკასია იმპერიალისტების, თეთრგვარდიელ გენერლებისა და სოციალ-გამყიდველებისაგან.

გაუმარჯოს დიდი საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალას და მის ერთ-ერთ სახელოვან რაზმს---კავკასიის ცალკე არმიას!

ბრძანება

კავკასიის ცალკე არმიის ჯარებისადმი

№ 680

ქ. ტფილისი. 14 აგვისტო 1923 წ.

ამხანაგებო, წითელ არმიელებო, კომანდირებო და სამხედრო მოსამსახურეებო, დღეს კავკასიის ცალკე არმია (ყოფ. მეთერთმეტე არმია) დღესასწაულობს თავის არსებობის 5 წლის თავს.

რევოლიუციის დაუვიწყარ შვილების სისხლით განბანილი და ტანჯვა-წამებაში, გამარჯვებებში და მომავალ ბრძოლებისათვის მედგარ მზადებაში განვლილი 5 წლიწადი გვაშორებს ჩვენ იმ მომენტს, როდესაც რევოლიუციის ქარ-ცეცხლში დაიბადა მე-11 წითელი არმია.

დიდი გზა, გახურებულ მტვერზე, კასპიის ზღვაზე და კავკასიის მიუვალ მთებზე, გვაშორებს ჩვენ იმ ადგილს, სადაც წარმოიშვა ის, რომლის გულიც აინთო რევოლიუციის დასაცავად.

თეთრგვარდიელთა სამხრეთის რაზმებზე გამარჯვება, მათი სრული განადგურება, ამიერ-კავკასიის ჩაგრულ ხალხთათვის ძმური დახმარება, საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობა და ერთა შორის სისხლის მღვრელი შუღლის ნაცვლად მტკიცე ძმური მშვიდობიანობის დამყარება და გულმოდგინე სწავლა — ყველაფერი ეს ავსებდა არმიის არსებობის ყოველ დღეს და ყოველ საათს.

ატარებს რა როგორც ჩირაღდანს ინტერნაციონალიზმის იდეას, არმია ანხორციელებს მას თავის საქმეში. ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა შეიარაღებული რაზმები ერთსულოვნად უერთდებიან მის მწყობრ რიგებს, რათა კიდევ უფრო მიუდგომელი გახდეს საბჭოთა ამიერ-კავკასიის საზღვრები.

ყველაფერი ეს არის მისი სახელოვანი ისტორია, რომლითაც მას შეუძლია იამაყოს.

თქვენი წინამოადგილენი, რომელნიც ასობით და ათასობით იღუპებოდენ მტრის ტყვიისა და ყოველგვარ ტანჯვა-წამებისაგან, უცნობი გმირები, რომელთაც თავი დასდვეს რევოლიუციისათვის და რომელნიც ცოცხლები დარჩენ, თქვენ, რომელთაც გამოცვალეთ ისინი ახალი ძალებით, დიდი საბჭოთა ქვეყნის მუშებო და გლეხებო, ხართ ამ ისტორიის შემომქმედები სახელოვანო მებრძოლნო!

არმიის არსებობის მეექვსე წლის დასაწყისში, დარწმუნებული მის ძლიერებასა და შეურყევლობაში, შეჰყურებს რა მომავალს რევოლიუციონური სამხედრო საბჭო გილოცავთ თქვენ 5 წლის თავის საზეიმო დღის.

რევოლიუციონური სამხედრო საბჭო გამოსთქვამს ღრმა რწმენას იმაში, რომ თვითეულ წითელ არმიელის, კომანდირის და კომისარის გულში აღბეჭდილი დიადი წარსული იქნება საუცხოვო შესავალი იმ მშვენიერ ფურცლებისა, რომელსაც შეიტანს არმია თავის მომავალ ისტორიაში.

დავხაროთ დროშები დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, დავსდოთ ფიცი, პატიოსნათ განვაგრძოთ მათი საქმე და ერთსულოვნად შევსძახოთ:

გაუმარჯოს დიდ ოქტომბრის რევოლიუციას.

გაუმარჯოს მის საყრდნობს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენ სახელოვან კავკასიის ცალკე არმიას!

ბრძანება წაკითხულ უნდა იქნეს ყველა როტებსა, ესკადრონებსა, ბატარეებსა და გუნდებში დღესასწაულის დღეს.

არმიის სარდალი ა. ეგოროვი.

რევ. სამხ. საბჭოს წევრები: შ. ელიავა.
ა. მიასნიკოვი.

პოლიტ. სამმართველოს უფროსი ი. ვრაჩევი.

შტაბის უფროსის თან. დრ. ალმ კუზნეცოვი.

ხუთი წლის თავზე

დღეს სრულდება კავკასიის ცალკე არმიის არსებობის 5 წლის თავი. 5 წლის განმავლობაში ეს სახელოვანი არმია იარაღით ხელში იცავდა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრებს.

უდიდესზე-უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია მან იმ დროს, როდესაც რუსეთის ცენტრში ძალა-უფლება მტკიცეთ ეპყრა ხელში გამარჯვებულ ხალხს; განაპირა კუთხეებში სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა. ყველა რეაქციონურმა ძალებმა თავი მოიყარეს აქ, რათა მახვილი ჩაეცათ ზურგში პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

მაგრამ ფხიზელია თვალი და მაგარია ხელი მათი, ვინც ბრძოლაში გამოიწოდა მთელი ძველი მსოფლიო და მოახდინა რევოლიუცია, რომლის ბადალი მსოფლიოს არ ახსოვს. რუსეთის პროლეტარიატმა ერთის მძლავრი დაკვრით გაანადგურა ძველი წესწყობილება და მის ნანგრევებზე ააშენა ახალი, სადაც ძალაუფლება მხოლოდ მშრომელებს ეკუთვნის, იმავე დროს შექმნა ძალა, რომელიც იცავს ამ მონაპოვარს — დიდი წითელი არმია, არმია, რომელსაც ბადალი არა ჰყავს. მისი სიმტკიცე, დარაზმულობა, მისი რევოლიუციონური ენტუზიაზმი არის საიმედო საყრდნობი ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ ცდების წინააღმდეგ და დიდი წითელი არმიის სახელოვან მოღვაწეობის ამ გმირულ ეპოპეიაში ერთ-ერთი პირველ ადგილთაგანი ეკუთვნის კავკასიის ცალკე არმიას. უდაბნო, უგზო-უკვლო, გახურებულ მტვრიან ადგილებში, ზამთარში, ძლიერ ყინვასა და ქარ ბუქში, მიდიოდა იგი უძლეველი, იცავდა ყველგან რევოლიუციის მონაპოვარს, სდევნიდა მტერს და ამტკიცებდა მშრომელთა ძალა უფლებას.

ამიერ-კავკასიისათვის იგი იყო განმანთავისუფლებელი.

ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები, რომელნიც რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ათეული წლობით იბრძოდენ თვითმპყრობელობის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელნიც ათეული წლების განმავლობაში იდგენ რევოლიუციის მოწინავე რიგებში, მისი უდიდეს მიღწევათა მომენტში, რუსეთის პროლეტარიატის ზეიმის და გამარჯვების მომენტში, მოწყვეტილი აღმოჩნდენ. იმ დროს, როდესაც რუსეთში გუგუნებდა გამარჯვების ჰიმნი და შენდებოდა ახალი ცხოვრება, ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი, იცლებოდა რა სისხლიდან უსწორო ბრძოლაში, ელოდა დახმარებას. და ეს დახმარება მან მიიღო კავკასიის ცალკე არმიის სახით. იგი მოვიდა და დაეხმარა მათ მონობის ბორკილების დამსხვრევაში, მან მოშალა აღმართული ზღუდეები და ამიერ-კავკასიის განთავისუფლებული რევოლიუციონური ერები, ხელახლა გაერთიანდენ ერთ მეგობრულ ოჯახში, ერთი ნებისყოფით, ერთი მისწრაფებით — შეინარჩუნონ რევოლიუციის მონაპოვარი, განამტკიცონ საბჭოთა ძალაუფლება, დაამყარონ კომუნიზმი.

ამიერიდან ვერავითარი ძალები მთელ მსოფლიოში ვერ დაშლის საბჭოთა სოციალისტურ რესპულიკების ამ დიად კავშირს. ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი რუსეთის მშრომელთან ხელი ხელ ჩაკიდებული წავა კომუნიზმის, ამ დიადი მიზნის სრულ გამარჯვებისაკენ.

და დღეს, კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავზე, ამიერ კავკასიის პროლეტარიატი, დღესასწაულობს რა ამ საზეიმო დღეს, განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღებს მონაწილეობას ამ იუბილეში და მოიგონებს, რა დიდი საქმე გააკეთა ამ არმიამ მათ განსათავისუფლებლად, რამდენი გამბედაობა, გმირობა, რევოლიუციისათვის უანგარო თავდადება იყო საჭირო, რათა გადაელახა ბრძოლის ყველა სიძნელენი.

გმირობა და უანგარობა, რომელსაც ის იჩენდა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმეში, ეწირებოდა რა ერთ მიზანს — რევოლიუციის გამარჯვებას, — არის მისი სახელოვანი მოღვაწეობის ერთ ერთი ნათელი ფურცელთაგანი, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს ამიერ კავკასიის, კერძოთ საქართველოს პროლეტარიატი.

ქართველი პროლეტარიატი, რომელმაც თავი მხრებზე გადაიტანა კონტრ-რევოლიუციის ყველა თავდასხმები, რომელიც მოწამე გახდა თავისი მოსისხლე მტრების მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების გამარჯვებისა, რომელნიც აქ, საქართველოში ქართველ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად სისხლში ახრჩობდენ მუშათა და გლეხთა აჯანყებებს, ქართველ მუშას, რომელსაც შეეძლო განთავისუფლება თავის მჩაგვრელთა ხელებისაგან მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი შესძლებდა მასთან შეერთებას და თავის ძლევამოსილ წითელი არმიის სახით დახმარების ძმურ ხელს გაუწოდებდა მას — ქართველი პროლეტარიატი, კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის თავზე განსაკუთრებული გრძნობით აღნიშნავს ამ იუბილეს.

გაუმარჯოს კვლავ ძლევა-მოსილ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა რევოლიუციის მონაპოვარი.

სახელი და დიდება კავკასიის ცალკე არმიას, რომელმაც გაანთავისუფლა ამიერ-კავკასიის ერები!

კავკასიის ცალკე არმია

შეიარაღებული ძალა ყოველთვის მეფეების და მდიდრების მონამორჩილი, ერთგული მოსამსახურე იყო; ის ყოველთვის მშრომელთა და ჩაგრულთა საწინააღმდეგოთ, დასამონებლად იყო მზათ.

მათ მიერ დანთხეულ სისხლის ღვრაში ამოცურდებოდა ამა თუ იმ

ამხ. ლ. ტროცკი

მთავრის თუ მეფის გვირგვინი, მათი „ღვთაებრივი“ ძალაუფლებით.

ჯარი მუდამ სხვისი სურვილების და ზრახვების განსახორციელებელი იარაღი იყო, რომლითაც მოხერხებულათ სარგებლობდენ თავისი მოწინააღმდეგეთა და მონათა დასათრგუნავად „ძლიერნი ამა ქვეყნისა“.

თავისი ბატონობის განსამტკიცებლად, სამფლობელოს გასაფართოებლად ყოველი გვირგვინოსანი ცდილობდა სამხედრო ძალების გაძლიერებას, გამრავლებას. მისათვის ის არ ერიდებოდა არავითარ ხარჯებს, რადგანაც ეს სავსებით უნდა გაეღო მშრომელ ხალხს.

ასე იყო ყველგან და ყოველთვის. ასევეა დღეს იქ, სადაც მეფობს კაპიტალი.

მაგრამ ასე აღარ არის დედამიწის ერთ მეექვსედზე, საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრ კავშირში!

და ეს ასეა მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლიუციის შემდეგ. ოქტომბრის რევოლიუციამ მშრომელთა წინააღმდეგ მიმართული ალესილი ხმალი მშრომელთა მტრების წინააღმდეგ აამოქმედა.

მშრომელთა დასამონებლად შექმნილი და აღზრდილი ჯარი მუშათა კლასის განსათავისუფლებლად იწყებს ბრძოლას...

გლეხებისა და მუშებისაგან შემდგარმა მეფის არმიამ მთელი რუსეთის მშრომელებთან ერთად ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ მოითხოვა საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტა.

შეიძრა, აღშფოთდა მჩაგვრელთა ბანაკი, იგრძნო თავის აღსასრულის მოახლოება. დარაზმა მთელი თავისი ძალები, აამოქმედა თავისი მეცნიერები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, გენერლები...

დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო, დაუნდობელი, გაშმაგებული ბრძოლა ახალი და ძველი ქვეყნებს შორის.

პეტროგრადის ჯარისკაცებმა და მუშებმა ამართეს წითელი დროშა მშრომელთა დიქტატურისა, 25 ოქტომბერმა (7 ნოემბერი) ამცნო კაცობრიობას ახალი ეპოქის დასაწყისი.

გაბატონებული კლასების იმედები და თავხედობა დიდი იყო. არ სჯეროდათ მშრომელთა სამეფოს დღეგრძელობა... საათობით ითვლიდენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობას... სინდაწინვე დღესასწაულობდენ თავის უახლოეს გამარჯვებას.

ბრძოლა ცხოველდებოდა, ის თანდათან უფრო სასტიკი და დაუნდობელი ხდებოდა.

მთელი კაცობრიობის ყურადღება აქეთ იყო მიქცეული. გულხელდაკრეფილი იშვიათათ თუ ვინმე შესცქეროდა მას, ყველა სცდილობდა მონაწილეობა მიეღო ძველი და ახალი ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში... დამდგარიყო ბარიკადის ამა თუ იმ მხარეზე.

თანდათან ირკვეოდა ბედის განაჩენი, თანდ თან იხრებოდა სასწორი მშრომელთა წითელი არმიისაკენ. თანდათან მეტი სიხარულით და იმედით შეჰყურებდა მას მშრომელთა ბანაკი.

თანდათან უფრო მეტი ზიზღით, შურით და შიშით ივსებოდა წითელი არმიისადმი მჩაგვრელთა საერთაშორისო ხროვა.

ისტორიის განაჩენი მშრომელთა სასარგებლოთ ღაღადებდა. შინაური და გარეული კონტრ-რევოლუცია დამარცხებას გლოვობდა.

რუსეთის მშრომელთა ამ თავდადებულ გმირულ ბრძოლაში ამიერკავკასია მონაწილეობას არ იღებდა. მენშევიკურ - დაშნაკურ - მუსავატისტურმა პარტიებმა მოსწყვიტეს იგი მშრომელთა საერთო ოჯახ, გახადეს იმპერიალისტების სათარეშოთ, კონტრ-რევოლიუციის საიმედო ბუდეთ საიდანაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზურგში ჩასაცემი მახვილი ილესებოდა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა ვერ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას. ისინი ყოველთვის მიილტვოდენ საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენისკენ.

იყო აჯანყებები, იყო ბრძოლა, მაგრამ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით ისინი დამარცხებით თავდებოდენ. ამიერკავკასიის სოციალ შემთანხმებლებს და ბურჟუაზიულ მთავრობებს ყოველთვის გვერდში ყავდათ მოკავშირეები, ხან გერმანელი იმპერიალისტური ჯარების სახით, ხან ინგლისელებით, იტალიელებით და სხვა.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა მოკავშირე წითელი არმია კი შორს იყო. ის კიდევ შუაგულ რუსეთში იყო ჩაბმული კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან ბრძოლაში.

ამიერ-კავკასიაში ათასგვარი ჭორები, სიყალბე და უმზგავსოება ვრცელდებოდა რუსეთის წითელი არმიის შესახებ, ვინ იცის რა საზიზღრობას და ბოროტებას არ აწერდენ მას. წითელ არმიელს ველურობის და მხეცობის სიმბოლოთ ხატავდა მენშევიკური პარტია და მისი ამყოლ-დამყოლნი. იმ ქვეყანას კი, რომელსაც წითელმა არმიამ მოუპოვა თავისუფლება, სამუდამოთ დაღუპულათ თვლიდენ, მისი ხსნა, მათი აზრით, მხოლოდ ევროპის ქებულ დემოკრატიას მეორე ინტერნაციონალის სახით შეეძლო, რასაკვირველია, ევროპის ბურჟუაზიის ლოცვა კურთხევით და „უანგარო“ დახმარებით...

„ურწმუნოებს“ არ სჯეროდათ ყოველივე ეს, მაგრამ ისინი უძლური იყვენ ყველა ამ „უტყუარი ცნობის“ გასაფანტავად.

დადგა 1920 წელი. აჯანყდა ბაქოს პროლეტარიატი, მოითხოვა ბეგურ-ფეოდალური მთავრობის დამხობა და ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლა. მაგრამ გრძნობდა, რომ რუსეთის წითელი არმიის დაუხმარებლათ ვერ გაუმკლავდებოდა ნაციონალისტურ-შოვინისტურ მთავრობას, რომელსაც აუცილებლად დახმარებას გაუწევდენ გარეშე იმპერიალისტური ძალებიც.

ამიტომ ბაქოს პროლეტარიატმა მიმართა დახმარებისათვის წითელ არმიას და 1921 წლის 27 აპრილს ბაქოს ქუჩებზე გამოჩნდენ მეთერთმეტე არმიის ნაწილები, რომლებმაც გამოიწვიეს მშრომელთა საერთო აღტაცება.

გაიღო აღმოსავლეთის კარები... მოახლოვდა აღსასრულის ჟამი სომხეთის და საქართველოს ნაციონალისტური მთავრობებისათვის.

1920 წლის დასასრულში სომხეთის განაწამებმა მშრომელმა ხალხმა მალე გაუღო კარები მე 11 არმიას და მოიცილა კისრიდან დაშნაკელთა მონობის უღელი.

ჯიუტობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა, შხამგესლით სავსე გააფთრებულ აგიტაციას აწარმოებდა ბოლშევიკებისა და წითელი არმიის წინააღმდეგ. ბევრი კიდევაც დააჯერეს, ბევრი კიდევაც მოხიბლეს თავისი უებარი „დემოკრატიზმით — სოციალიზმისაკენ“... მაგრამ ისტორია ულმობელია.

მენშევიკები განწირული იყვენ. რეაქციის დამარცხებას რუსეთში აუცილებლათ უნდა მოყოლოდა რეაქციის მოკავშირე მენშევიკების დამარცხებაც.

ასეც მოხდა. იწყება აჯანყება ბორჩალოში, ციხეები ავსილია საქართველოში მცხოვრებ ბოლშევიკებით. საქართველოს მთავრობის მობილიზაციით გაწვეულმა ჯარმა არ ისურვა თავის ყოფილ მოკავშირე რუსეთის მშრომელთა ლაშქართან შეტაკება. ტყუილი იყო ოფიცერთა და იუნკერთა აღტაცება და ბრძოლის წყურვილი. მასას ბრძოლა არ უნდოდა.

საქართველოშიც შემოსდგა ფეხი წითელმა არმიამ. მენშევიკთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი მირბოდენ, გზაზე ყოველივეს ანადგურებდნენ და ათასგვარი სიცრუით შხამავდენ, შიშის ზარს სცემდენ ხალხს წითელი არმიის ძალადობის და ველურობის შესახებ... „ოკუპანტები, წითელი იმპერიალისტები, გაველურებული ურდოები“ და ვინ იცის კიდევ, რას არ უწოდებდენ მენშევიკები რევოლიუციის ძლევამოსილ ლაშქარს.

მაგრამ გავიდა სამი წელი და ყველა გრძნობს, თუ რამდენი სიმართლე იყო მენშევიკების მტკიცებაში და ფიცში.

გათავდა მტრობა, შუღლი, გაუთავებელი სისხლის ღვრა და ომები... მშვიდობა და თავისუფლება არა ბურჟუაზიის, არამედ მშრომელთა თავისუფლება, საბოლოოთ დამყარდა ამიერ კავკასიასა და საქართველოში. დაიწყო მეურნეობის გამოცოცხლება, ქარხნების, გზების, ხიდების, არხების და სხვათა აღდგენა. დამშეულ-განადგურებული ქვეყანა, რომლის მოგომარეობას თვით მენშევიკთა პრემიერი ჟორდანია კატასტროფიულს უწოდებდა, შესდგა მშვიდობიანობითი აღმშენებლობის გზაზე ნამგალმა და ჩაქუჩმა გააჩაღეს მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოთ..

და აწი კი მენშევიკებსაც ქედი უნდა მოეხარათ წითელ არმიის დიად საკაცობრიო მიზნებთან და მის ფასდაუდებელ ღვაწლთან მშრომელთა განთავისუფლების საქმეში.

შეიძრა მენშევიკთა ბანაკიც... წინათ ბელადთაგან მოტყუებული მენშევიკი მუშებიც ეხლა საჯაროთ აცხადებენ, რომ წითელი არმია და მისი სახელოვანი ნაწილი, კავკასიის ცალკე არმია, არის მშრომელთა დამცველი ჯარი, კომინტერნის დიადი იდეალების განმახორციელებელი, რევოლიუციის მონაპოვართა დამცველი.

წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში სამაგალითო იყო, ჯერ ისტორიაში არ ნახული. შურისძიების და მტრობის ნაცვლად ის ძმობას და ერთობას ქადაგებდა, ქვეყნის მოსპობისა და განადგურების ნაცვლად ის აღმშენებლობით მუშაობას აწარმოებს...

უსაზღვროთ დიდი, ფასდაუდებელი და დაუვიწყარია კავკასიის ცალკე არმიის ღვაწლი კავკასიის ერთა და მშრომელთა განთავისუფლების საქმეში. მისი არსებობის ხუთი წლის თავზე მძლავრათ გაისმის ამიერ-კავკასიის მშრომელთა ხმა: გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის ერთგულ და ფხიზელ დარაჯს — წითელ არმიას და მის სახელოვან რაზმს — კავკასიის ცალკე არმიას!

ი. ბ.

ამხ. ს. ორჯონიკიძე

კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავზე

კავკასიის ცალკე არმია შეიქმნა მე 11 ე წითელ არმიიდან. რევოლიუციის განვითარების პროცესში და 1917—1921 წლების სამოქალაქო ომში მეთერთმეტე არმიის ისტორიას ერთი [illegible] ადგილი უჭირავს რევოლიუციის საერთო მსვლელობაში.

მეთერთმეტე არმიამ იარსება მხოლოდ 1918—919 წ. ზამთრის განმ ვლობაში. მეთერთმეტე და მეთორმეტე არმიების კატასტროფებმა დაასვეს რესპუბლიკის წინაშე ამოცანად ისეთი ახალი ძალის მოწყობა, რომელიც შესძლებდა წინააღმდეგობის გაწევას მტრის არმიისათვის, რომელსაც ხელში ჰქონდა ჩაგდებული ქალ. ცარიცინი და ემზადებოდა ასტრახანის დასაკავებლად, რასაც კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. გროზნოს და ბაქოს ნავთი მუდამ მიმზიდველ ძალას წარმოადგენდა დასავლეთ-ევროპის იმპერიალიზმისათვის.

1918 წელს 19 ივლისს ამ მხარის დასაცავად შედგენილ იქნა ასტრახანის ჯგუფი, რომლის მებრძოლ შემადგენლობაში შევიდენ კასპიის და კავკასიის ფრონტის მეთერთმეტე არმიის ნაშთები და ამ რაიონში დაბანაკებული ნაწილები.

ახალი მეთერთმეტე არმია იცავდა კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებისაგან მდინარე ვოლგის ნაპირებს (ცარიცინიდან კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებამდე). მოწინააღმდეგის წინ წამოწევა საბჭოთა რუსეთის ცენტრისაკენ 1919 წელს აგვისტოში აიძულებს სარდლობას გამოიჩინოს უდიდესი ენერგია შემოტევის შესაჩერებლად მეთერთმეტე არმიას, რომელმაც შესძლო მოღონიერება, მოსდის ბრძანება აიღოს ცარიცინი და განაგრძოს მოძრაობა გროზნოს რაიონში კავკასიის რევოლიუციონურ არმიასთან შესაერთებლად. ამ ბრძანებით საფუძველი ჩაეყარა არმიის აქტიურ მოქმედებაზე გადასვლას, რამაც მას მისცა სასახელო გამარჯვებები.

მოწინააღმდეგის დევნის დროს მე-11 ე არმია ძლევამოსილი მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ ქალ. სტავროპოლის დასაკავებლად.

1920 წ. 29 თებერვალს მტერი სტოვებს სტავროპოლს და უკან იხევს არმავირის მიმართულებით. მოკლე ხნის ბრძოლის შემდეგ, არმია შედის ჩრდილოეთ-კავკასიის საზღვრებში. თავისი შეუჩერებელი მოძრაობით ის სწმენდს კავკასიას მტრებისაგან და იკავებს პეტროვსკის ნავთსადგურს. მოწინააღმდეგე უკან იხევს გემებით აზერბეიჯანში. ნავთსადგურ პეტროვსკის საშუალებით მეთერთმეტე წითელი არმია მიადგა კავკასიის რესპუბლიკების კარებს.

ამ დროს აზერბეიჯანში უმაღლეს წერტილს აღწევს პროლეტარიატის ბრძოლა (ბაქოში) მუსავატელების მთავრობის და ინგლისელების წინააღმდეგ.

წითელი არმიის მოახლოვებამ ფრთა შეასხა მუშებს, მათ ხელთ იგდეს ძალა-უფლება და მოუწოდეს დასახმარებლათ და გამარჯვების განსამტკიცებლად წითელ არმიას.

27 აპრილს გამოცხადდა აზერბეიჯანი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მე-11 არმიის ნაწილი შევიდა ბაქოში.

მოწინააღმდეგე განდევნილია ჩრდილოეთ კავკასიიდან და აზერბეიჯანიდან. არმია იკავებს მოსაზღვრე რესპუბლიკების — სომხეთის და საქართველოს ხაზს.

სომხეთში და საქართველოში, მიუხედავათ საზავო ხელშეკრულებების დადებისა საბჭოთა რუსეთთან, ხდება რეაქციის ყველა ძალების მობილიზაცია და ანტანტის დახმარებით მზადდება თავდასხმა სანაპირო ნაწილებზე, რომლებშიც დაბანაკებული არიან ზანგეზურში. სამი შეტაკების შემდეგ, სამი დღის განმავლობაში განადგურებულ იქნენ დაშნაკელების ჯარი, ნაწილ ბი, მე-11 არმია მაგრდება დილიჟანში და წინააღმდეგობის გაუწევლად იკავებს ერევანს და კარაკლისს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა, გაჟღენთილი შოვინიზმით და ეროვნული შუღლით, თავს იჩენს 10 თებერვალს. სომხების, მუსულმანების და რუსებისაგ 6 შემდგარი მოსახლეობა აწყობს აჯანყებას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყებულები მიემართებიან ჩრდილოეთისაკენ იმ მიზნით, რომ გაანთავისუფლონ საქართველოს პროლეტარიატი და გლეხობა მენშევიკების ჩაგვრის უღლისაგან. მე 11 ე არმია პირველი მოწოდებისთანავე მიდის დასახმარებლად; შეუჩერებელი შეტევით ამარცხებს საქართველოს გვარდიის ნაწილებს, ერთი კვირის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, 1921 წ 26 თებერვალს მენშევიკური შოვინიზმის ციტადელი ეცემა. ძალაუფლებას ეპატრონებიან მშრომლები.

ასეთია კავკასიის მე-11-ე არმიის, ანუ ეხლანდელი კავკასიის ცალკე არმიის ეპოპეის მოკლე მიმოხილვა.

ყოველგან, სადაც კი ჩაგრული ხალხი ამართავდა აჯანყების დროშას თავის მჩაგვრელების წინააღმდეგ, მიდიოდა ის დასახმარებლად და თავისი მამაცობით, ფოლადისებური სიმტკიცით, ბრძოლის უნარიანობით და რევოლიციისადმი თავგანწირული ერთგულებით მან შესძლო რევოლიუციის სულთამხუთავების ხროვის დამარცხება და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარება. ის არ იხევდა სიკვდილის წინაშე, იტანდა საშინელ წვალებას უდაბნოების ცხელ ადგილებში, ზამთრის სუსხში და ქარიშხალში გადადიოდა მიუვალ ადგილებს, რათა დაჩქარებით გაეწოდებია ძმური დახმარების ხელი აჯანყებული ხალხისათვის

ხოლო მისი გმირობა, აგვირგვინებს რა მის მოღვაწეობას დიდებით, მუდამ იქნება იმათ ხსოვნაში, ვინც მისი დახმარებით მოიშორა მონობის ხუნდები.

მაგრამ კავკასიის ცალკე არმიის როლი არ ამოიწურებოდა მხოლოდ მისი ბრძოლის უნარიანობით, მით, რომ ის დახმარებას უწევდა ბურჟუაზიული მთავრობების ჩამოგდებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მის ამოცანას შეადგენდა რევოლიუციონური წესრიგის დაცვა, წინააღმდეგობის გაწევა კონტრ-რევოლიუციისათვის, რომელიც ცდილობდა ბანდიტურ აჯანყებების მოწყობას და წესრიგის დაცვით ის ხელს უწყობდა მშვიდობიან აღმშენებლობას.

1921 წელს კავკასიის ცალკე არმია მთელი ზაფხულის განმავლობაში ეწევა სასოფლო სამეურნეო მუშაობას გლეხის მინდვრებზე, აწყობს რა შაბათობებს, აწოდებს გლეხობის ღარიბ ნაწილს ცხენებს, სათეს მარცვლეულს და სხვა

დიდ მონაწილეობას ღებულობს არმია სარწყავი არხების გაყვანის საქმეში. 22 წელი წარმოადგენს სწავლების წელს, არმია უმჯობესდება, ღრმავებს და აფართოვებს თავის ცოდნას და წარმოადგენს კულტურულ კერას, რომელსაც შეაქვს ცოდნა და განათლება ჩვენი მაზრების და სოფლების მივარდნილ ადგილებში.

მ. ეხხენი.

ქ. ც. არმიის სარდალი, ამხ. ა. ეგოროვი

ამხ. შ. ელიავა

ამხ. ა. მიასნიკოვი

რესპუბლიკის რევ. სამხედრო საბჭო—კავკ. ცალკე არმიას

(დეპეშა)

ტფილისი. კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს.

„დღეს შესრულდა 5 წლის თავი კავკასიის ცალკე არმიის (ყოფ. 11 არმიის) დაარსების დღიდან. წარმოიშვა რა კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლ მუშათა და გლეხთა პარტიზანულ რაზმებისაგან, კავკასიის ცალკე არმია ეწყობა ასტრახანის ლაშქრობის მძიმე პირობებში, არის რა იგი მოწყვეტილი ცენტრისაგან და სამის მხრიდან გარშემორტყმული მტრის უფრო მრავალრიცხოვან ძალებით. უშუალო ბრძოლის გამარჯვებათა და დამარცხებათა ქარცეცხლში, იზიდავს რა თავის რიგებში ნამდვილ რევოლიუციონურ მუშებს და გლეხებს, იზრდება და მტკიცდება, რათა დენიკინის განადგურების და ყუბანის გაწმენდის შემდეგ, დაიწყოს თავისი განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთით. დიდი პატივი ხვდა წილად კავკასიის ცალკე არმიას; მან პირველმა დაანთო მსოფლიო სოციალურ რევოლიუციის ჩირაღდანი მშრომელ მუსლიმან მცხოვრებთა შორის, გაუწოდა დახმარების ძმური ხელი დაჩაგრულ ერებს და, გაანთავისუფლა რა ისინი რუსეთის კონტრ-რევოლიუციისა და ევროპის იმპერიალიზმისაგან, მან პირველმა დაამყარა მშვიდობიანობა და თავისუფალი შრომა დაღესტანის, აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, აჭარის და აფხაზეთის ხალხთა შორის, რომელნიც მანამდე ერთმანერთს ებრძოდენ და ანადგურებდენ. დღეს არმია დაუღალავად მუშაობს ამიერ-კავკასიის ეროვნულ შეიარაღებულ ძალების შესაქმნელად, რათა აღმოსავლეთის მშრომელებს საშუალება მიეცეთ თვით იყონ თავისი ქვეყნის მომავალი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონები. კავკასიის ცალკე არმიამ გაიარა დიდი გმირული გზა. ასტრახანის ველებიდან დაწყებული არარატის მაღლობებამდე, კასპიის ზღვიდან შავ-ზღვამდე დაღესტანის მინდვრებსა და ქედებზე, ამიერ-კავკასიის დაბლობებსა და მთებზე მრავალი საუკეთესო მებრძოლები დაეცენ მკაცრ ბრძოლებში, აურაცხელი მსხვერპლი უჯდებოდა მას თავისი გამარჯვება. ხრის რა დროშებს დაღუპულთა ხსოვნის წინაშე, რესპუბლიკის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მოუწოდებს კავკასიის ცალკე არმიის მეომრებს ისევე ურყევლად და მტკიცეთ იდგენ თავიანთ რევოლიუციონურ სადარაჯოზე, როგორც იდგენ მათი სახელოვანი თანამებრძოლნი გმირული ბრძოლის ხუთი წლის განმავლობაში. დეე, ამიერ-კავკასიის მშრომელებთან ერთად კავკასიის ცალკე არმიამ დღესაც, ისე როგორც წინად, დაანახვოს მთელ ქვეყანას უდიდესი კულტუროსნობის მაგალითი და სახელოვნად წაიღოს წითელი დროშა აღმოსავლეთისაკენ. რესპუბლიკის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო ულოცავს კავკასიის ცალკე არმიის წითელ არმიელებს, კომანდირებს, კომისრებს და პოლიტიკურ მუშაკებს 5 წლის არსებობის დღესასწაულს.

რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე—**ხკლიანსკი.**

მთავარსარდალი—**კამენევი.**

რადიო-ტელეგრამები

(„ზაქროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

მუშები კუნოს გადადგომას მოითხოვენ

ლონდონი. 13 აგვისტო. პოლიტიკური კრიზისი ბერლინში მეტად გამწვავდა. შაბათს მუშათა დეპუტაციები მთელი დღის განმავლობაში გარს ეხვიენ რეიხსტაგს და მოითხოვდენ კუნოს გადადგომას და მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნას. ბერლინის გარშემო, გადატრიალების ასაცილებლათ, თავმოყრილია ჯარები.

მოწოდება იტალიურ გაფიცვისაკენ

ბერლინი. 10 აგვისტო. „თუთხმეტთა“ კომისიამ მიმართა ბერლინის მუშებს, გვერდი აუხვია რა გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებას, მოწოდებით იტალიურ გაფიცვისკენ, რომლის დროსაც უნდა წამოაყენონ შემდეგი ლოზუნგები: კუნოს მთავრობის დამხობა, მუშურ-გლეხურ მთავრობის შედგენა, ისეთი განაკვეთების შემოღება, რომლებიც შეეფერებიან მშვიდობიან დროს, დაუყონებლივ დაურიგდეს თვითეულ მუშას, მოსამსახურეს და მოხელეს 10 მილიონი მარკა.

სამი დღის გაფიცვა გამოცხადდება ბერლინში.

ბერლინი. 11 აგვისტო. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრებამ, რომელიც მოწვეული იყო „თხუთმეტთა კომისიის“ ინიციატივით, დაადგინა გამოაცხადოს ბერლინში სამი დღის გაფიცვა, შემდეგი ლოზუნგით: „კუნოს მთავრობის ჩამოგდება და მუშათა და გლეხთა მთავრობის დაარსება“. ქარხნების ქონების დაცვა ევალებათ წითელ რაზმებს.

კუნო იმუქრება.

რომი. კანცლერმა კუნომ რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა ენერგიულ ზომებს მიიღებს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ სახელმწიფოს შინაგან მშვიდობიანობის დასაცავათ.

ბერლინის პრესა კუნოს სიტყვის შესახებ.

რომი. ბერლინიდან მოსულ ცნობით, მთელი ბერლინის პრესა, გარდა კომუნისტურისა, ერთხმათ იწონებს კუნოს სიტყვას რეიხსტაგში.

გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესებას უკანასკნელ კვირის განმავლობაში.

გილფერდინგის პროექტი

პარიზი. გილფერდინგი „ფორვერტს“-ში წინადადებას იძლევა რეიხსბანკის ორ დეპარტამენტათ გაყოფის შესახებ: ოქროს მარკისა და ქაღალდის მარკის დეპარტამენტებათ. პირველს უფლება ექნება თავის განკარგულებაში იქონიოს 300 მილიონი მარკის ოქრო და გამოსცეს ოქროს მარკის ბანკნოტები, რომელიც დაფარული იქნება ნახევრათ ოქროთი და ოქროს დევიზებით, ნახევრათ კი ოქროს ვალდებულებებით, მეორე დეპარტამენტი განაგრძობს ემისიისა და ქაღალდის მარკის გამოცემის ხელმძღვანელობას.

კომუნისტების წინადადება.

პარიზი. კომუნისტების მიერ რეიხსტაგში. შეტანილი წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ განხილული იქნება რეიხსტაგის მიერ ორშაბათს.

ვაჭრების გაფიცვა.

ბერლინი. 9 აგვისტო. ბერლინის წვრილ ვაჭრებმა გამოაცხადეს დღეს 24 საათის გაფიცვა ნიშნათ პროტესტის სპეკულიანტების შესახებ მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ. თითქმის ყველა მაღაზიები და დუქნები დახურულია. ვაჭრები წინადადებას იძლევიან ხვალიდან ივაჭრონ მხოლოთ 5 საათით. ცალეულათ მოვაჭრეთა განცხადებით, მებითუმე ვაჭრები მოითხოვენ ანგარიშის გასწორებას ოქროს კურსით, რაც ცალეულ ვაჭრობას შეუძლებლათ ხდის, ვინაიდან უკანასკნელში ვაჭრობა სწარმოებს ანგარიშით.

მდგომარეობა საათობით უარესდება.

ბერლინი. 11 აგვისტო. გერმანიაში ეკონომიური მდგომარეობა საათობის განმავლობაში უარესდება მარკის დაცემა გავლენას ახდენს არა მარტო მომხმარებლებზე, არამედ ვაჭრებზედაც, რომლებიც ვეღარ ახერხებენ ახალი საქონლის შეძენას, სტამბის მუშათა გაფიცვის გამო ბანკნოტები ვეღარ იბეჭდება. რეიხსბანკსა და სხვა ბანკებს სახსარი არა აქვთ სახსარი გასტუმრებისა. მხოლოდ იმის იმედი აქვთ რომ ახლო მომავალში სახელმწიფო სტამბები მაინც განაახლებენ მუშაობას. ქვანახშირის ფასმა 350 პროც.-ით აიწია.

ბერლინი უგაზეთოდ.

ბერლინი. 11 აგვისტ. სტამბის მუშების გაფიცვის გამო, გუშინ ბერლინში გაზეთები არ გამოსულა.

ქაღალდის ფულის ზღვა.

ბერლინი. 11 აგვისტო. რეიხსბანკის ცნობით ქაღალდის ფულის რაოდენობა, რომელიც ამ ბოლო დროს გერმანიაში ტრიალებს, 11,800 მილიარდიდან 43,600 მილიარდ მარკამდე ავიდა.

ნდობის საკითხი კუნოს კაბინეტისათვის.

ბერლინი. 11 აგვისტო. რეიხსტაგის დადგენილებით, საკითხის მთავრობის ნდობის შესახებ ორშაბათამდე გადაიდო. კუნო მოლაპარაკებას აწარმოებს პარტიების ბელადებთან.

მარკის გადატანა აკრძალეს.

ბერლინი. 11 აგვისტო. გერმანიის მთავრობამ აკრძალა საზღვარგარეთ მარკის გატანა.

მუშათა მღელვარება იზრდება.

ბერლინი. 11 აგვისტო. გერმანიიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის მუშათა შორის მღელვარება „იზრდება მთელს გერმანიაში. ბერლინში გაფიცვები ფართოვდება. რკინის გზის მიმოსვლა შეწყდა.

ლოკაუტი.

ლონდონი, 11 აგვისტო. ჰამბურგში სანავოსნო საზოგადოებამ ლოკაუტი გამოუცხადა 12,000 მუშას.

ნავთსადგურისა და ტრამვაის მუშათა გაფიცვა.

პარიზი. 11 აგვისტო. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, ტრამვაის პარკებისა და მიწის ქვეშ რკინის გზების მუშები გაიფიცნენ.

ჰამბურგში გაფიცვა გამოაცხადეს მუშათა მშენებელ სახელოსნოთა მუშებმა.

გაფიცვების ტალღა.

ლონდონი. 13 აგვისტო. სურსათ სანოვაგეზე ფასების არაჩვეულებრივ ზრდის გამო გერმანიის მთელს ტერიტორიაზე ვრცელდება გაფიცვების ტალღა, რომელთა მიზანია სამუშაო ხელფასის მომატება:

გერმანიაში გაიფიცენ სტამბის მუშები. შეჩერდა მიწის ქვეშა რკინის გზა, გაფიცული არიან მელითონეები, რის გამო დახურულია მსხვილი ქარხნები და ფაბრიკები. მუშაობა შეჩერდა აგრეთვე ჰამბურგის გემთა სამიმოსვლო საზოგადოებებში და შტეტინის გემთა საზოგადოება „ვულკან“-ში. მოძრაობა გადაედო საოკუპაციო ოლქსაც, კობლენცში ხალხმა მაღაზიების რბევა დაიწყო. პოლიცია ხმლებით შეეჩება ბრბოს, კრეფელდში ბელგიელები ძალით წმენდენ ქუჩებს დემონსტრანტებისაგან.

პარტიების ლიდერთა სასწრაფო თათბირი.

ლონდონი. 13 აგვისტო. კვირა ღამეს შესდგა პრეზიდენტ ებერტისა და კანცლერ კუნოს თათბირი პარტიების ლიდერებთან. კუნოს კაბინეტის გადადგომას მოელიან ორშაბათს.

სისხლის მღვრელი შეტაკებები

ლონდონი. 13 აგვისტო. ჰამბურგში, ბრემენში, დრეზდენში, ლეიპციგში, კილსა და ლიუბეკში და სხვაგან ხდება სისხლის მღვრელი შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის.

არეულობა ჰანოვერში

პარიზი. 13 აგვისტო. ჰანოვერსა და ბრესლავლში დიდი არეულობაა, რომლის დროს მოკლულია 16 და დაჭრილია 53

ბერლინი უსინათლოთ.

პარიზი 13 აგვისტო ელექტრონისა და გაზის სადგურების მუშათა გაფიცვის გამო, ბერლინი უსინათლოთ და უგაზოთ დარჩა.

ებერტმა ცენზურა შემოიღო:

პარიზი. 13 აგვისტო. პრეზიდენტ ებერტის განკარგულებით გერმანიის მთელ პრესისათვის შემოღებულია ცენზურა.

კილის არხის მუშები გაიფიცნენ.

პარიზი. 13 აგვისტო კილის არხის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს საგემო მიმოსვლა შეწყვეტილია.

მუშებმა წითელი დროშები ამართეს.

ლონდონი. 13 აგვისტო ეკო-დეპარის ცნობით ბერლინის ჩრდილოეთ მიდამოების ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშებმა ამართეს წითელი დროშები.

კუნო გადადგა.

ლონდონი. 13 აგვისტო. გაზ. „ცენტრალ ნიუზის“ ცნობით, კუნომ შაბათს გადასცა პრეზიდენტს ებერტს განცხადება გადადგომის შესახებ. გადადგომა ჯერ ჯერობით მიღებული არ არის. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ღამით გაიმართა ებერტის და კუნოს თათბირი პარტიის ლიდერების თანადასწრებით. დამატებით მიღებულ ცნობების თანახმად თუ კუნო დაჟინებით მოითხოვს გადადგომას გერმანიის ნაციონალისტების ლიდერი შტრეზემანი, რომელიც იცავს სტინესის და სხვა მსხვილ მრეწველთა ინტერესებს, შეადგენს კოალიციონურ კაბინეტს. მუშები მოითხოვენ კუნოს გადადგომას და მოუწოდებენ 3-დღით საყოველთაო გაფიცვისაკენ, ორშაბათიდან.

მუშათა მიტინგის დახვრეტა.

პარიზი. 8 აგვისტო ლიუბეკში პოლიციამ გარეკა მუშათა მიტინგი რასაც მრავალი მსხვერპლი მოჰყვა.

კუნოს გადადგომა არ მიიღეს.

ოქსფორდი. 12 აგვისტო ბერლინიდან მოსულ ცნობით ებერტს თათბირი ჰქონდა კანცლერ კუნოსთან და პარტიების ლიდერებთან და არის ხმები, რომ კუნოს გადადგომა მან არ მიიღო.

საქსონიის მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა.

ბერლინი. 10 აგვისტო. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე ლეიპციგში საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის მეთაურმა ცეგნერმა სასტიკათ გაილაშქრა კუნოს მთავრობის წინააღმდეგ და აღნიშნა რომ კუნოს პოლიტიკა რურის საკითხში გაკოტრებამდე მიიყვანს გერმანიას. დიდი სენსაცია მოახდინა ცეგნერის გამომჟღავნებამ რურის ოლქში მონარქიულ ორგანიზაციების კონცენტრაციის შესახებ, რომლებიც ფინანსიურ დახმარებას რურის კრედიტებიდან იღებენ. ცეგნერმა განაცხადა, რომ დადგება მომენტი, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა უნდა უარყონ ყოველგვარი თანამშრომლობა კუნოსთან და თუ ისინი ამას არ იზამენ საკუთარ ხელით გაითხრიან საფლავს. ცეგნერმა აღუთქვა კრებას კიდევ გამოჟღავნოს კუნოს საიდუმლო მახინაციები. „ფორვერტს“-ი ამართლებს კუნოს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ უკანასკნელ ხანებში მან ბევრი დათმობა გაუწია სოციალ-დემოკრატებს.

გადასახადები.

ბერლინი. 11 აგვისტო. თუმცა მთავრობის პროექტით გარდასახადთა განაკვეთი 25—100 პროც. უნდა გაედიდებინათ, მაგრამ რეიხსტაგმა იგი 400—600 პროცენტით გაადიდა. მუშებზე კი გადასახადი მხოლოდ ერთი ორად გადიდდა.

შეთანხმებლებმა გაფიცვა ჩაშალეს

ბერლინი. 11 აგვისტო. მბეჭდავთა გაფიცვა დასრულდა, რადგანაც პროფკავშირთა ბელადებმა მეწარმოებლებთან შეთანხმება დაიჩქარეს.

გაფიცვების ტალღა იზრდება.

ბერლინი. 11 აგვისტო. ამ უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება, თანდათან გაძვირებისა, სანოვაგის უშოვრობისა და ფულის ნიშნების უქონლობის გამო. ბერლინის ქარხანათა რაოდენობა, სადაც მუშები იტალიურ გაფიცვას აცხადებენ, თანდათან იზრდება. ნაწილობრივ გაიფიცნენ ბერლინის საქალაქო რკინის გზის სახელოსნოები.

წითელი დროშები ბერლინის ქარხნებზე.

ბერლინი. 11 აგვისტო. მთელ რიგ ქარხნებზე ფრიალებენ წითელი დროშები. მუშების იტალიური გაფიცვის გამო შეწყვეტილია მუშაობა ელექტრონის წარმოებაში და ქალაქის რკინის გზებზე.

აშინებენ გაზეთებს.

ბერლინი. 11 აგვისტო. „როტე ფანე“-ს რედაქციის შენობა დაკავებულია პოლიციის მიერ. გაზეთს კონფისკაცია უყვეს. სპეციალური ბრძანებით გამოცხადდა, რომ რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრების და ძალადობის ხმარებისაკენ მოწოდებისათვის გაზეთები დაჯარიმებული იქნებიან ხოლო უცხოელები — გადასახლებულა გერმანიიდან.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა კუნოს.

ბერლინი. 11 აგვისტო. 60 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 45-ისა, გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კუნომ საბოლოოდ დაკარგა ნდობა მასებში, შედგენილი უნდა იქნეს ახალი მთავრობა ფართო კოალიციონურ საფუძველზე. უმცირესობის რეზოლიუცია მოითხოვს დაუყონებლივ გამოეცხადოს მთავრობას უნდობლობა და გაერთიანებულ იქნენ ყველა პროლეტარული ძალები მათ დასაცავად, რადგანაც შესაძლებელია ახლო მომავალში რევოლიუციონური ბრძოლა. დამახასიათებელია ის, რომ ფრაქციის 75 დეპუტატმა არ მიიღო მონაწილეობა თათბირში.

კუნოს მთავრობის მდგომარეობა კრიტიკულია.

ბერლინი. 11 აგვისტო მთავრობის მდგომარეობა, უეცრად შეცვლილი პოზიციის გამო, კრიტიკულია.

კონსტიტუციის დღე.

ებერტის მოწოდება.

ბერლინი. 13 აგვისტო. კონსტიტუციის დღეს დღესასწაული გაიმართა მხოლოდ რეიხსტაგში ებერტის თავმჯდომარეობით. დღესასწაულის გამო ებერტმა მიმართა გერმანიის მცხოვრებთ მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია უცხოეთის ოკუპაციის და იმის შესახებ, რომ გერმანელები არავითარ დახმარებას არ მოელიან უცხოელებისაგან.

„როტე-ფანე“ მოწოდების შესახებ.

ბერლინი. 13 აგვისტო. „როტე ფანე“ (გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანო) დასცინის მოწოდებას და ამბობს: რომ გერმანიის მუშათა კლასი დღეს უფრო მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, და მას არ სცალია ებერტის კონსტიტუციონურ ქადაგების მოსასმენადო.

უშედეგო ცდა.

პარიზი. 13 აგვისტო. ბერლინში გამოკრულია მთავრობის მიმართვა, რომელიც მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებს მცხოვრებთ.

მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სრულიად საქართველოს კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიუროსაგან

ვინაიდან ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ შეუძლებელია თავის დროზე დამთავრდეს არჩევნები,

მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სრულიად საქართველოს კონფერენცია

გადაიდო ა/წ. 25 აგვისტოსათვის.

ადგილებზე არჩეულ საინიციატივო ბიუროს წევრები უნდა ჩამოვიდნენ 24 აგვისტოსათვის.

საინიციატივო ბიურო.

საკონტრიბუციო საკითხი

ინგლისის ნოტა საკონტრიბუციო საკითხზე

ლონდონი. 13 აგვისტო. ბრიტანეთის ოფიციალური რადიო-პრესა გადმოგვცემს საფრანგეთისა და ბელგიისადმი გაგზავნილ ბრიტანეთის უკანასკნელი ნოტის სრულ ტექსტს.

ბრიტანეთის ნოტა იწყება იმ გულწრფელი იმედის გაცრუების აღნიშვნით, რომელიც გამოიწვია საფრანგეთის და ბელგიის მთავრობების პასუხმა ბრიტანეთის ნოტაზე, რომელსაც თანდართული ჰქონდა გერმანიისათვის გასაგზავნი საერთო პასუხის პროექტი და აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მთავრობის ეს წინადადებანი არის შედეგი მისი სურვილისა გაენახოს პრაქტიკული გზა საკითხის სწრაფად და საბოლოოდ გადასაჭრელად.

შემდეგ ნათქვამია, რომ ბელგიის ნოტა არ უარყოფს ბრიტანეთის წინადადებებს გერმანიის გადახდის უნარიანობის ხელახლა გამოკვლევის შესახებ ისე კატეგორიულად, როგორც ამას საფრანგეთის ნოტა სჩადის.

ბელგიის მთავრობის მიერ ამ წინადადების მიღება დამოკიდებულია ბელგიისა და საფრანგეთისათვის ფინანსიურ უპირატესობათა ფართო მაშტაბით მინიჭებაზე სხვა მოკავშირეთა და უმთავრესად ბრიტანეთის ხარჯზე. თუ გერმანიას მოვსთხოვთ იმაზე მეტს, რის გადახდაც მას შეუძლია, ვერავითარ შედეგებს ვერ მივაღწევთ. მაგრამ როგორია მაქსიმუმი, რომლის გადახდასაც ის შესძლებს? — ამ საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ყველა მის კრედიტორებისათვის. ამ მაქსიმუმის დაწესება, პირველ რიგში უნდა მოხდეს, რათა შემდეგ დავამყაროთ მასზე პრაქტიკული ზომები გერმანიისაგან გადასახადების მისაღებად უკიდურეს, შესაძლებლობის ფარგლებში. ბრიტანეთის მთავრობა ამის გამო წინადადებას იძლეოდა გადადგმულიყო ნაბიჯები, რათა გამოგვერკვია ეს მნიშვნელოვანი გარემოება. ბელგია გვიპასუხებს, რომ ის არ დასთანხმდება ამაზე, თუ საფრანგეთს და მას არ მიენიჭებათ ზემოთ აღნიშნული უპირატესობანი. ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია თავის ნებით დაეთანხმოს ასეთ კომბინაციას. ოფიციალური და ოფიციოზური განცხადებანი აშკარად ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის მთავრობას სურს მოითხოვოს მისთვის მაქსიმუმის 36 მილიარდ ოქროს მარკის გადახდა გარდა იმ თანხებისა, რომელმაც უნდა დაფაროს დიდი ბრიტანეთისა და შეერთებულ შტატებისაგან აღებული ვალები; ბელგიის მთავრობა კი დაჟინებით მოითხოვდს ამ 5 მილიარდ ოქროს მარკის გადახდას, რომლის (ან ამ თანხის ნაწილის) მიმართ ბელგიის მთავრობა მოითხოვს უპირატესობას. ბრიტანეთის ნოტა იხილავს ამ ციფრებს იმ პროცენტული შეფარდების თვალ აზრისით, რომელიც მიღებული იყო სპაში და აღნიშნავს, რომ მიღწეულ შეთანხმების თანახმად უპირატესობის შესახებ მაშინ, როდესაც გერმანიისაგან მისაღები თანხები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის თანხები, რომლის მიღება ამ ჟამადაა შესაძლებელი, ბელგიამ უკვე მიიღო გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა სახელმწიფოებმა. გარდა ამისა ბელგია სავსებით იყო განთავისუფლებული მოკავშირეთა მიერ აღებულ ვალების გადახდისაგან, რომელი ვალებიც უდრიდა 300 მილ. გირ. სტერლ. რაც შეეხება საფრანგეთის მიერ 36 მილიარდი მარკის მოთხოვნას, გარდა ინგლისისა და შეერთებულ შტატებისაგან აღებულ ვალების დაფარვისა, რომელიც უდრის 27 მილიარდს და რომელიც უნდა იქნეს გაუქმებული, ეს მოთხოვნა, თანახმად არსებულ შეთანხმებათა, ადიდებს საფრანგეთის ხვედრ კონტრიბუციის ნაწილს 3-ჯერ თუ 4 ჯერ. სდგას რა ამგვარად საკითხი, ძალიან ძნელია გათვალისწინება იმისა, რომ გერმანიის მიერ თავიანთ ვალდებულებათა არ შესრულება, რაც ნაწილობრივ ინგლისისათვისაც საზარალოა, იქნება გამართლებული საფრანგეთის მოთხოვნით — მოკავშირეების ხარჯზე ჩაყენებულ იქნეს იგი უფრო სასურველ პირობებში, ვიდრე ის მდგომარეობა, რომელშიაც იგი იქნებოდა საკონტრიბუციო გადასახადის პირობების შესრულების დროს.

ბრიტანეთის ნოტის თვალსაზრისით, არც ხელშეკრულებაში დროებით ზავის შესახებ, არც საზავო ხელშეკრულებაში არ შეიძლება გასამართლებელ საბუთების მონახვა ბელგიის წინადადებისათვის პრიორიტეტის (უპირატესობის) შესახებ სამხედრო ხარჯების რომელიმე ერთ ნაწილის მხრივ. ნოტა შეიცავს (გამოტოვებულია), რომ გემების ჩაძირვა ზღვაში ისე თვალსაჩინო არ არის, როგორც საფრანგეთისა და ბელგიის დანგრეული სოფლები, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ერთგვარ მატერიალურ ზარალს, რომელიც გამოწვეული იყო გერმანიის თავდასხმით, და ერთნაირად საზარალოა ეროვნულ დოვლათისათვის. კონტრიბუციის ბრიტანეთის ნაწილი ფაქტიურათ სერიოზულ ზარალს არ განიცდის მატერიალურ დანაკლისისათვის უპირატესობის მინიჭებით; მიუხედავათ ამისა, ბრიტანეთის მთავრობას არ სურს ხელი შეუწყოს პრიორიტეტის დამყარებას განსაკუთრებით იმის გამო და იმ მიზეზით, რომ ზოგიერთმა მოკავშირეებმა უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს. ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია ამის გამო წარმოიდგინოს, რომ არის საფუძველი იმ პროცენტულ დამოკიდებულების გადასინჯვისათვის, რომელიც სპაში იყო დამყარებული. აღნიშნავს რა შემდეგ მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, რომელიც ინგლისმა გასწია და იმ ფაქტს, რომ ის დროებითი ზავის შემდეგ იძულებული იყო დაეხარჯა უმუშევრებზე 400 მილიონამდე გირ. სტერლინგი, ნოტა აღნიშნავს, რომ ინგლისი მოკავშირეებს შორის ერთი იხდის პროცენტებს ვალებზე, რომელიც ომის დროს იყო აღებული, რაც ამიერ-კავკასიისათვის მისაცემ ვალის მთელს თანხაზე შეადგენს ერთ მილიონ გირ სტერლინგს ეხლანდელი კურსით. ინგლისი მარტო ერთია მოკლებული საშუალებას საკავშირო მოგება მიიღოს უცხო ღირებულებათაგან, რომელნიც 700 დან 800 მილიონამდე თანხას შეადგენს და რომელიც სხვა პირობებში დახმარებას გაუწევდა ინგლისს მისი ამერიკისთვის მისაცემ ვალის გადახდის საქმეში. მიუხედავათ ამ გიგანტური სიმძიმისა, ინგლისმა იანვარში პარიზის კონფე-

23 წლის წინეთ

1900 წ. გაფიცვა ა.-კ. რკინის გზის სახელოსნოებში

1900 წ. 1 აგვისტოს გაფიცვა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში და თბილისის დეპოში იყო მომზადებული რამოდენიმე თვით ადრე, მხოლოთ დრო პირველი აგვისტოსთვის არ იყო დანიშნული. თბილისის კომიტეტმა დაადგინა: 7 აგვისტოში მივიღებდით ჯამაგირებს (პოლუჩკას), ცოტაოდენი ფული გვიქნებოდა და გაფიცვასაც უფრო მომზადებულათ ჩავატარებდით.

ეს წინადადება იყო ამხ. არაქელა ოქუაშვილის. არაქელამ ისიც დაუმატა: მეფურნეებს და მეწვრილმანეებს ნახარჯებს ჯერ ნუ მიეცემთო. ერთი ის მოსაზრება, რომ ფული მეტი დარჩება მუშებს ხელში, მეორეც — ვაჭრები უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ გაფიცულებს და ხელს შეუწყობენ, რომ ნისიები არ დაეკარგოს მუშების დამარცხებითო. სამისო აგიტაციაც იყო გაწეული ვაჭრებში და მეფურნეებში.

მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება დაარღვია ერთმა გარემოებამ. 31 ივლისში ღამით დაატუსაღეს ხუთი ამხანაგი: კ. ვიგორბინი, ვასო ბჟანოვი, ზაქარა ჩოდრიშვილი, ლელაშვილი და ნიკიფორე ბერაძე. უკანასკნელმა გაგვცა ციხეში, და შემდეგ გახდა ჟანდარმების აგენტი. ამ ჟამათ ვაჭრობს რაიონის სადგურზედ.

1 აგვისტოში გამოვედით სამუშაოზედ და ელვის სისწრაფით მოედო მთელს სახელოსნოს და დეპოს ცნობა ამხანაგების დაჭერის შესახებ. ორგანიზაციის წევრებმა საუზმემდის მოვახდინეთ თათბირი და გადავწყვიტეთ პირველი დადგენილება შეგვეცვალა და დღესვე გავფიცულიყავით. მოვიარეთ რა ყველა ცეხები და დეპო, მივიღეთ დასტური თითქმის ყველა მუშებისაგან, შევიკრიბეთ დეპოს და მთავარ სახელოსნოს შუა „სიფხიზლის სახლთან“ (дом трезвости) ვანო სტურუას და არაქელა ოქუაშვილის მონაწილეობით. გადავწყვიტეთ საუზმის შემდეგ გამოგვეცხადებია გაფიცვა. ვგრძნობდით უდიდეს პასუხისმგებლობას, მაგრამ განწყობილება ისეთი იყო, რომ უკან დახევა უფრო მეტ ზარალს მოგვიტანდა, მასსა სიმფრთხალეს დაგვწამებდა.

ამხ. არაქელამ შემოიტანა წინადადება: შვიდი დღე მოვითმინოთ ამხანაგების ციხეში ჯდომის მიუხედავათ. მივიღებთ ჯამაგირებს 7 აგვისტოს, მაშინ გავიფიცოთო, თორემ შეიძლება მალე დავმარცხდეთო. ვ. სტურუამ შეიტანა წინადადება: რადგან მუშების სულისკვეთება ძლიერია, და ვაი თუ ამ დღეებში კიდევ დაგვიჭირონ ამხანაგები და შეიძლება მასსა დაფრთხესო, უმჯობესია ეხლავე გამოვაცხადოთ გაფიცვაო. მიღებულ იქნა უკანასკნელი წინადადება.

ვსთქვით და შევასრულეთ. საუზმის შემდეგ ავალაგეთ ხელსაწყო იარაღები და გამოვედით რამდენიმე ათასი მუშა. უთხარით ამხანაგებს: იყავით მტკიცეთ, მოთხოვნილებები და მოწოდებები იქნება გამოშვებული. ფიცის გამტეხი თუ ვინმე გამოჩნდეს, გამოაცხადეთ მოღალატეთ და მუშების მტრათ.

გაფიცვის გამოცხადება მეხივით დაეცა თავზედ რკინის გზის ადმინისტრაციას. მუშებში დიდი აღფრთოვანება იყო.

გაფიცვა მიდიოდა მწყობრათ, გაფიცვის მეორე დღეს შემოგვიერთდა ხაშურის დეპოც. დეპოებიდან გაიფიცენ მარტო მემანქანეების თანაშემწეები, მემანქანეებმა მხარი არ დაგვიჭირეს. გაფიცვის გამოცხადების მეორე დღეს, 2 აგვისტოში, გამოუშვით პატარა ფურცელი, რომელშიაც მოუწოდებდით ამხანაგ მუშებს გამხნევებულიყვნენ და სანამ ჩვენ დაჭერილ ამხ არ განთავისუფლებდენ ციხიდან, არც ერთი მუშა სამუშაოზედ არ გასულიყო. 4 აგვისტოში გამოვიდა მეორე ფურცელი, უფრო დიდი და შინაარსიანი, პატიმართა განთავისუფლების, რვა საათის სამუშაო დღის, კრებების და კავშირების თავისუფლების, თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული წესწყობილების გამოცხადების მოთხოვნით და ლოზუნგებით. ფურცლებს ბეჭდავდენ გაზ. „ივერიის“ სტამბაში მომუშავე პარტიის წევრები ამხ. ვანო ბოლქვაძე და ვლასა მგელაძე. მათ გამოქონდათ აწყობილი ფურცელი სტამბიდან, შემდეგ ბეჭდავდენ კონსპირატიულ ბინაზედ ვალერიანე ბილანიშვილთან ჩოთქით. ვ. ბილანიშვილი მბეჭდავი იყო.

ორიგინალებს სწერდა სილიბისტრო ჯიბლაძე, ვასო ცაბაძე, რაჟდენ კალაძე, სევერიანე ჯუღელი და გიორგი კარაჯევი. გაფიცვის კომიტეტში ინტელიგენტები არ შედიოდენ, გარედან გვიწყობდენ ხელს. ჩვენი ბინა იცოდა მარტო ალიოშა ჯაფარიძემ, ის მაშინ სამოსწავლო ინსტიტუტში სწავლობდა. ამხ. ალიოშა გვნახულობდა და ცნობები მიქონდა ინტელიგენტებთან.

გაფიცვის მეხუთე დღეზედ გაფიცულების ცოლშვილში სიმშილმა იჩინა თავი, როგორც ზემოთ ვთქვი, ერთი თვის მიღებული გვქონდა ჯამაგირი. მეფურნეებმა და მეწვრილმანეებმა კრედიტები დაუხურეს მუშებს. გაფიცვის ფონდში ჩვენ გვქონდა რამოდენიმე ასეული მანეთი, მაგრამ ეს საკმაო არ იყო და უფრო გაუჭირდათ რუს ამხანაგებს. ვაჭრებმა თითქოს „პატრიოტიზმი“ გამოიჩინეს ქართველებს კიდევ აძლევდენ ნისიათ, რუს მუშებს თითქმის სრულიათ აუკვეთეს საქონლის მიცემა.

გაფიცვის კომიტეტში შედიოდენ და გაფიცვას ხელმძღვანელობდენ შემდეგი ამხანაგები: არაქელა ოქუაშვილი, გიორგი ჩხეიძე, მიხა ბოჭორიშვილი, ილიკო კოპალეიშვილი (ეხლა მენშევიკია) და ვანო სტურუა.

საჭირო იყო ფულის შოვნა, გადავწყვიტეთ მიგვემართა ექიმ ნ. ნ. ხუდადოვისთვის. დაავალეს ამის მოხერხება ა. ოქუაშვილს და ილიკო კოპალეიშვილს. ხუთ აგვისტოს შებინდდა თუ არა, მივედით ექიმ ხუდადოვთან. მიგვიღო ძალიან კარგათ. გამოგვკითხა, როგორ მიდის გაფიცვაო. ჩვენ გაუკეთეთ პატარა ინფორმაცია, და უთხარით ფული გვასესხეთ, გაფიცულების და დაჭერილების ოჯახების დასახმარებლათ, გვითხრა, ჯიბეზედ არა მაქვსო ხვალ გამოვიტან ბანკიდან და მოგცემთ ოცდა ათ თუმანსო; მოდით ერთი თქვენგანი ხვალ ამ დროსო. ჩვენ ვიფიქრეთ, შეიძლება დღეს ამით მოგვიშორა და ხვალ რაიმე სხვა მიზეზები წამოაყენოსო. მაგრამ ჩვენი ეჭვი არ გამართლდა, მეორე დღეს წავიდა ამხ. მიხა ბოჭორიშვილი და ილიკო კოპალეიშვილი. მისვლისთანავე ექიმმა ხუდადოვმა მისცა ოც და ათი თუმანი გაფიცვის კომიტეტი კონსპირატიული ბინაზე იყო მოთავსებული. ღიათ არ დავდიოდით.

მართალია მაშინ კომკავშირი არ არსებობდა, მაგრამ ჩვენი ამხ. მუშების შვილები გვიწევდენ კომკავშირის „კომსომოლობას“. დაძვრებოდენ მუშების უბნებში და ეზოებში, მიქონდ მოქონდათ ამბავი, მათი საშუალებით ვრცელდებოდა ფურცლები, ვარიგებდით დახმარების ფულს და სხვა.

დღე და ღამ დაძრწოდენ ჟანდარმები და პოლიცია, იჭერდენ მოწინავე მუშებს, მაგრამ გადამეტებული არ იქნება რომ ვსთქვათ, ტერორის ქვეშ გვყავდა დაყენებული ჩვენი მოწინააღმდეგენი.

ექვს აგვისტოს, ფერის ცვალების დღე იყო, ღამით დიდი წვიმა მოვიდა. ამ ღამეს ჟანდარმერიამ და თბილისის პოლიცმეისტერმა ფეხზედ დააყენეს მთელი მისი ძალები.

ჯარის კაცებით შეკრეს ყველა უბნები, განსაკუთრებით მუშების. როგორც ზემოთ მოვიხსენიე, მემანქანეები მხარს არ გვიჭერდენ. თანაშემწეები ერთიც არ გასულა სამუშაოთ. მთავრობა ცდილობდა მატარებლების მიმოსვლა არ შეჩერებულიყო, მისცეს მემანქანეებს თანაშემწეებათ მესანგრე ბატალიონიდან ჯარის კაცები. მემანქანების თანაშემწეები გაფიცულები რომ არ ყოფილიყვნენ დაჭერილნი და ძალაუნებურათ სამუშაოზედ არ გაეყვანათ, სულ გავიდნენ თბილისიდან, შემოუარეს ავჭალას, სოფელ მამკოდას მიმართულებით, ავიდნენ დედათა მონასტერში და თითქოს მლოცველები იყვნენ, იქ შეაფარეს თავი.

6 აგვისტოს, გათენებისას 7 აგვისტოს რიჟრაჟზედ უკვე დაჭერილი იყო 500—700 მუშამდე. გათენებისას დემონსტრატიულათ მიერეკებოდენ მუშებს ციხეებში. ამხ. არაქელა გათენებისას შეხვედროდა რამოდენიმე ასეულ მუშას, როდესაც მიყავდათ ორთაჭალის ციხეში. ვეღარ მოითმინა ამხ. არაქელამ, ამხნევებდა მუშებს და ცდილობდა შეერთებოდა, მაგრამ ჯარის კაცებმა არ შეუშვეს დაჭერილების ჯგუფში. ჩვენ მთელი ღამე ვეძებდით და ვერ დავიჭირეთო ეს კი თავის ნებით გვაჭერიებს თავსო, ალბათ გიჟი უნდა იყოსო და ახლოს არ მიუშვეს.

მობრუნდა ამხ. არაქელა. გაფიცვის კომიტეტის ყველა წევრებმა ვიცოდით, თუ რა მოხდა იმ ღამეს. ჩვენმა „კომსომოლებმა“ სრული ინფორმაცია მოგვიტანეს.

გადავწყვიტეთ 7 აგვისტოში საპროტესტო ღია მიტინგები გაგვემართა და გამოვსულიყავით ყველა უბნებში.

ჩვენი მუშის შვილების, ცოლების და ნაკლებათ შემჩნეული ამხ. საშუალებით მოვამზადეთ ნიადაგი მიტინგის მოსაწყობათ საღამოს ექვს საათზე.

მიტინგი ნაძალადევში და დიდუბეში ჩატარდა გრანდიოზულათ. ჩვენც გამოვედით ამ მიტინგებზე; თავს დაგვიტრიალებდენ ჟანდარმები და პოლიცია, მაგრამ ისეთი განწყობილება იყო მუშებში, რომ, თუ დაგვიშენდენ, მოსალოდნელი იყო ნამდვილი ომი.

პროტესტის და ზიზღის გამოცხადების შემდეგ მუშების დარბევისთვის, ორივე მიტინგი შეერთდა და გავემგზავრეთ მეათე პოლიციის სამმართველოში დიდუბეში. მუშები ათასობით იყო.

პოლიციის სამმართველოს იცავდა ჯარისკაცები და ცხენოსანი ყაზახები. დემონსტრანტები ეზოში არ შეგვიშვეს. მუშები ძალით შევიდნენ და განაცხადეს: ჩვენ ყველანი მივდივართ იმ ჩვენ ამხანაგებთან, რომლებიც წუხელის ქურდულათ მოგვტაცეთო.

მოვიდა გუბერნატორიც. მან მიმართა ხერხს. მოატანია მაგიდა, დაადგმევია შუა ეზოში და დაიწყო აგიტაცია: ვისაც გინდათ ციხეში წასვლა მარცხნივ გადმ დითო, ვისაც გინდათ სამუშაოზედ გასვლა, მარჯვნივ გადითო. პირველ ნაბიჯს აკეთებს ამხ. არაქელა, რასაკვირველია, მარცხნივ მას მიყვებიან ყველანი. ნახა რა გუბერნატორმა, ეს არ გადის, მიმართა მეორე ხერხს: მოატანია ქაღალდი და საწერელი აბა მოდით, ერთი ფურცელი, ვისაც ციხე უნდა ამაზედ მოაწეროს ხელი, მეორე ფურცელი, ვისაც მუშაობა უნდა, ამაზედ მოაწეროს ხელიო. უკანასკნელი ხერხი უფრო პრაქტიკული გამოდგა გუბერნატორისთვის. აქაც პირველი არაქელა აწერს ხელს ციხეში წასვლაზედ, მიყვნენ სხვებიც:

ფირცხალავა პავლე, ფარნა ნინუა, დათიკო კაჩაური — უპარტიო, მიხ., გვარი არ მახსოვს, მეტი სახელს „ბუდას“ ეძახდენ, და სხვები.

ამნაირათ ჩაეწერა ციხეში წასასვლელათ 74 კაცი.

ამასობაში, უნდა ვსთქვა სიმართლე, ზოგნი იპარებოდნენ, მართალია სამუშაოზედ გასვლას არ აწერდენ ხელს, მაგრამ არც ციხე უნდოდათ. გაპარულებს თვალს არიდებდნენ პოლიციელებიც.

ბოლოს დაღამდა კიდეც, ალბათ გუბერნატორის ხერხი იყო ესეც; წამოუარეს ყაზახებმა ერთბაშათ მუშებს და დაუწყეს მათრახებით ცემა. მუშებმა გაგლიჯეს ეზოს კარები და ფიცრულის ღობეც, და გაიშალენ ქუჩაში. იქაც დაეწივნენ და დაუწყეს ცემა.

თვალწინ მიდგას დღესაც ერთი სურათი. ერთმა მუშამ სახარატო ცეხიდან, მაქსიმე ლეჟავამ, წაქიდა ხელი ცხენზედ ყაზახს და პურის ცომივით მოაგუნდავა. ამით გათავდა 7 აგვისტოს საპროტესტო დემონსტრაცია. გაფიცვის ბედიღბალიც თითქმის გადაწყდა ამ დღეს, მაგრამ ჩვენ კიდევ მედგრათ ვიყავით 15 აგვისტომდის.

ათი აგვისტოს ყველა დაჭერილებს თავი მოუყარეს ორთაჭალის ციხეში, რასაკვირველია ას-ორმოცდა-ათი მოწინავე ამხ. გადარჩევით, რომლებიც მეტეხის ციხეში მოათავსეს. ორთაჭალის ციხიდან გარეკეს მუშები 11 აგვისტოს ნავთლუღის სადგურზედ, ჩასხეს საქონლის მატარებელ ვაგონებში, 700 კაცამდე იყვნენ, და გაგზავნეს მაზრებში, მეტი ნაწილი დასავლეთ საქართველოსკენ წაიყვანეს.

15 აგვისტოში გაფიცვის კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს ფურცელი შემდეგი შინაარსის: ამხ. მუშებო, გაფიცვა როგორც მწყობრათ დავიწყეთ, მწყობრათვე უნდა მოეხსნათ

თქვენ თქვენი გმირობა დაამტკიცეთ ამ ორი კვირის განმავლობაში, თუ როგორ უნდა ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიური ეს დასაწყისი იყო, და დასასრული უნდა გადავდოთ ახლო მომავლისთვის. დღეს დაგვარბიეს ფიზიკურათ, მაგრამ ჩვენ გამარჯვებული ვართ იდეიურათ.

ორი კვირის მედგარი ბრძოლა, როგორც ერთი, საწინდარია ახლო მომავალში ჩვენი გამარჯვებისა. 16 აგვისტოდან გაფიცვა მოხსნილია, გადით სამუშაოზედ. გაუმარჯოს მომავალ გადამწყვეტ გაფიცვას. ხელს აწერდა გაფიცვის კომიტეტი.

უკანასკნელი ფურცლის შინაარსი იყო ამხ. ალიოშა ჯაფარიძის რედაქციით. ალიოშა გვიმტკიცებდა: ეს დამარცხება, სრული გამარჯვებას უდრის მისი გმირული პროცესითო.

რკინის გზის სამმართველომაც 16 აგვისტოში გამოაცხადა: ვისაც სურს მუშაობა, მოდით მუშებმა რკინის გზის ლაზარეთის ახალ შენობაში, (ჯერ მოთავებული არ იყო) მიიღეთ ჯამაგირები, მოგვეცით ხელწერილები, რომ ახლათ მიღებულათ ითვლებით სამუშაოზედა ძველი ნამსახურის შესახებ არავითარი პრეტენზიები არ განაცხადოთო.

16 და 17 აგვისტოში რიგდებოდა დანიშნულ ადგილას ჯამაგირები, და აწერიებდენ ხელს მუშებს ამ დამამცირებელ ფურცელზედ. ოთხმოცდაოთხი მუშა კი დათხოვნილათ იყო გამოცხადებული რკინის გზას სამმართველოს ცირკულიარით, რომ ისინი არსად და არასოდეს არ მიიღოთო ამიერ-კავკასიის რკინის გზ ზედ. ეს ცირკულიარი 1905 წ. 17 ოქტომბრის რევოლიუციამ გააუქმა. კომიტეტმა ნება დართო მუშებს, მოეწერათ ხელი, რადგან თუ მოწინავე ამხ. არ დარჩებოდენ, ძნელი იქნებოდა ხელახლათ ორგანიზაციის გამაგრება. ამხ. არაქელამ და ზაქარამ რომ გაიგეს ციხეში, ხელი მოაწერეს კოპალეიშვილმა, ბოჭორიძემ და სხვა მოწინავე ამხანაგებმაო, მოიწერეს: პასუხისგებაში უნდა მიეცენო, მაგრამ კომიტეტმა შეუთვალა: შენც უნდა იქნე პასუხისგებაში მიცემულიო, თავი დაანებე ზაფთიელებს ბრძოლის დროსო. ესეც მართალიაო გვიპასუხა ამხ. არაქელამ.

რასაკვირველია, პასუხისგებაში ორგანიზაციის წინაშე, არავინ არ წამდგარა.

თანდათანობით უშვებდენ ამხ. ციხიდან, მაგრამ თანდათანობითვე იჭერდენ მეორეებს, რომლებიც გაფიცვის დროს დარჩენ დაუჭერავი.

რამდენიმე ათეული დათხოვნილი ამხანაგებმა და გადამალულებმა თავი მოიყარეს ბაქოში და აქედან ჩაიყარა საძირკველი ბაქოს პროლეტარიატის ორგანიზაციის სიძლიერისა.

ვანო სტურუა დაიჭირეს ბალახანაში 1901 წ. 14 თებერვალში, 1900 წ. პირველი აგვისტოს გამოცხადებული გაფიცვის გამო გაპროვოკატორებული ნიკიფორე ბერაძის ჩვენებით.

ამხ. ვანო იჯდა მეტეხის ციხეში, და შემდეგ სამხედრო ნაწილში, ავჭალის ქუჩაზედ ტფილისში 8-თვე. შემდეგ მიუსაჯეს სამი წლით არხანგელის გუბერნიაში გადასახლება.

გაფიცვაში და საერთოთ რევოლიუციონური მუშაობაში ხელს გვიწყობდენ ამხ. ქალები: მელანია, ამხ. მიხა ჩოდრიშვილის ცოლი, მიხა და ზაქარა ჩოდრიშვილის დედა, ძველი ტეტიათა მოტრფიალე (народница). ნატალია ლელაშვილი, გიგო ლელაშვილის დედა, ნინო ბოჭორიძე, მიხოს დედა, ბაბე ბოჭორიძე მიხოს დედის და, მარო ბოჭორიძე მისი და ევა ოქუაშვილი არაქელას ცოლი, ოლა ჩხეიძე, დაბადებით ლელაშვილი, ამხ. გიორგი ჩხეიძის ცოლი, ლუბა ნინუა დაბადებით ლელაშვილი და სხვები.

გარეგნულათ ხელს გვიწყობდენ ზოგ ერთი მედუქნეები, როგორც მაგ ძმ. ხახუ-აშვილები რიყეზე, ანტონ შევარდნაძე და სხვ.

გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ შემდეგი ამხანაგები:

ხელმძღვანელები გაფიცვის ორგანიზაციის მთავარ სახელოსნოდან:

არაქელა ოქუაშვილი, 2) ზაქარა ჩოდრიშვილი, 3) მიხა ბოჭორიძე, 4) გიორგი ჩხეიძე, 5) სართანია ექვთიმე, 6) ალილუევი სერგო, 7) ვოგორბინი კოლა, 8) მაჭარაძე კოლა 9) ენუქიძე აბელ, 10) გოგუა კალისტრატე, 11) ილიკო კოპალეიშვილი, 12) კალინინი მიხა, დღეს სრულიად რუსეთის ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, 13) ვანო სტურუა.

პირველი აქტიური ჯგუფი:

1) ჯიბლაძე ვალოდია, 2) გორიშვილი სტეფანე, 3) რაჟდენ მიქაძე, 4) არავიაშვილი არჩილ 5) დვალი დათიკო, 6) ნინუა ფარნა, 7) ონანოვ ოვანეს, 8) კიშიშოვ ხრისტოფორ, 9) პაკუშაძე სტეპკო, (ჩულიანი), 10) ხართიშვილი დათიკო, 11) სევერიანე ხვიჩია, 12) სამქუაშვილი ლავრენტი, 13) ნიკოგოსოვ ამირანი, 14) მამალაძე ლეონტი.

მეორე ჯგუფი:

1) მარსაკოვ გიორგი, 2) თელია გიორგი, 3) რთველაძე გიორგი, 4) ფოფხაძე, 5) ძაძამია ვანო, 6) ნინუა გიორგი, 7) დომბროვსკი ვასია, 8) ტატარინოვი პიტერიდან პოლ. გადმოსახლებული, 9) ნაზაროვი პიტერიდან პოლ. გადმოსახლებული, 10) დაგბაშოვ დარჩო, 11) ზალატარიოვი, 12) ზაკამოლდინი, 13) წეროძე, 14) სულავა ილია, 15) ქორიძე ი., 16) ზაქრაძე სტეფანე, 17) კაჩტკოვი იაკობ, [illegible] ფირცხალავა ანდრო, 19) ბაჟანოვ ვასია, 20) ლელაშვილი ალექსი, 21) ვალ. ვაშაკძე.

მესამე ჯგუფი ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგებისა, რომლებიც ასრულებდენ „კომსომოლებისტების“ როლს.

1. ლელაშვილი გიგო, 2. ხუბულური დავით, 3. შენგელია იოსები, 4. ალექსი ქობულაშვილი, 5. ფირცხალავა პავლე, 6. ლევაშევიჩი ივ., 7. სტურუა რაჟდენ, 8. [illegible] გრიგორი, 9. სტურუა სიმონ, 10. კახიანი ალექსანდრე, 11. მაისურაძე, 12. მინჯგალაძე ივანე, 13. კახიანი ილიკო, 14 ბუაძე ისიდორე, 15. თავ[illegible], 16. ქაბზინაძე, 17. ლორთქიფანიძე დათიკო (არა ქუთაისელი), 18. რცხილაძე იოსები, 19. მეტრეველი, 2[illegible] ლეკვიშვილი, 21. ფრანგიშვილი ა., 22. ფრანგიშვილი მ., 23. მეგრელიშვილი, 24. ჯიქია, 25. მერაბაშვილი (კურიერი), 26. ჭანტურია, 26. ფილია გიორგი, 28. გიორგობიანი გიორგი, 29. სოვჩენკო.

არაქელა ოქუაშვილი ი. კოჩეტკოვი ვ. სტურუა.

სამშაბათს, 14 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე,
შესდგება
სრ საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის

სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
სრ. საქ. ცაკის მდივანი: პ. საბაშვილი.

ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე,
მუშათა ცენტრალურ კლუბში
(პლეხანოვის პროსპექტი)
გაიმართება
„საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. მოხსენება თანამედროვე ავიაციის შესახებ (ამხ. ხერიევი);
2. მოხსენება „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ ამოცანების შესახებ (ამხ. გრაჩევი);
3. წესდების მიღება;
4. გამგეობის არჩევა.

ცენტრალური კომისია.

კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავისთვის

14 აგვისტოს სრულდება კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის თავი.

დღეს, 14 აგვისტოს, დილის 10 ნახ. საათზე გაიმართება აღლუმი თავისუფლების მოედანზე.

იმის გამო, რომ სამშაბათი არ არის უქმე დღე, მუშების მონაწილეობ ამ აღლუმში გამოიხატება რაიონებიდან 150 200 კაცისაგან შემდგარ დელეგაციების გაგზავნაში.

დროშებით და პლაკატებით მუშათა დელეგაციები უნდა შეიკრიბონ პროფკავშირთა საბჭოსთან, საიდანაც მწყობრად გაემართებიან თავისუფლების მოედანზე.

ტფ. კომიტ. სააგ.-საპრ. განყოფ. გამგე მ. ეხხენი.

რენციაზე წინადადება შეიტანა—ზარალის ანაზღაურების უფლებებზე უარის თქმის შესახებ, და სურვილი გამოსთქვა იმისათვის, რომ მოკავშირეთა ვალების შემცირების გზით მისი ნაწილი კონტრიბუციაში ნაანგარიშევი ყოფილიყო, როგორც მოკავშირეებისაგან მიღებული ვალი. შეუძლებელი და უსამართლო იქნებოდა გვეთხოვა გადასახადების ინგლისელ გადამხდელებისათვის კიდევ უფრო მძიმე უღელი მიეღოთ თავის თავზე, ვიდრე ის, რომელსაც მოკავშირეები, ფრანგები და ბელგიელები ეწევიან და მსხვერპლათ მიეტანათ ის პროცენტული დამოკიდებულება, რომელიც სპაში იყო შემუშავებული.

შემდეგ ნოტა აღნიშნავს, რომ კონტრიბუცია, რომელიც დაწესებული იყო საკონტრიბუციო კომისიის მიერ 132 მილიარდ ოქროს მან. რაოდენობით, არსებითად სინამდვილეში უბრალო გამონაგარიშება იყო ყველა ზარალისა, რომლისთვისაც ხელშეკრულებაში მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო კომპენსაცია, მიუხედავათ იმისა, შესძლებდა თუ არა გერმანია ამ თანხის გადახდას. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანიის გადახდის უნარიანობის სხვადასხვა განსაზღვრა გაკეთებული იყო იმ დროს, როდესაც არ იყო გამოცდილება სახელმწიფოთა ურთიერთ შორის ვალდებულებათა დაწესებისა და დასაბუთებისათვის. ისეთი შესაძლებლობა, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა ექსპერტებისთვის, როგორც სახელმძღვანელო მასალა, სახელდობრ იმისათვის, რომ ასეთი გამოცდილება მიღებული იქნა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, საჭიროა საკითხების ახალი გადათვალიერება. საფრანგეთისა და ბელგიის მტკიცების შესახებ, რომ საკონტრიბუციო კომისიას თითონ შეუძლია საჭირო გამოკვლევის მოხდენა, ბრიტანეთის ნოტა აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ საკონტრიბუციო კომისიაში არ არის ამერიკის წარმომადგენელი, საფრანგეთს და ბელგიას საშუალება აქვთ საფრანგეთის თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმით გაიყვანონ ყოველგვარი დადგენილება ბრიტანეთისა და იტალიის წარმომადგენლების გარეშე; ამ ჟამათ აშკარაა, რომ ასეთ პირობებში საკონტრიბუციო კომისია პრაქტიკაზე მხოლოდ მარტო საფრანგეთ ბელგიის პოლიტიკის ინსტრუმენტათ გახდა.

მიმართავს რა წინადადებით მიუდგომელ ექსპერტთა კომისიის დაწესების შესახებ, ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ რაც უფრო მეტი მასშტაბით იქნება იგი შექმნილი, მით უფრო მეტი ღირებულება ექნება მის დადგენილებებს; ამ მიზეზით ნოტა მოითხოვს, რომ კომისიის შემადგენლობაში შევიდენ არა მარტო კონტრიბუციასთან უშუალოთ დაკავშირებული სახელმწიფოები, არამედ ამერიკისა და იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც არ მონაწილეობდენ უკანასკნელ ომში, კიდევ მეტი, სასურველია თვით გერმანიის მონაწილეობაც კომისიაში მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა ბედნიერი იქნებოდა განეხილა ამ კომისიის რომელიმე სხვა ფორმა და მზათ არის, რადგან ამით ერთიანდება რამოდენიმე მთავრობა, ურჩიოს საკონტრიბუციო კომისიას მიღება ექსპერტთა კომისიის დადგენილებისა —წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კომისიის ფუნქციები მიიღებენ მხოლოთ სათათბირო ხასიათს.

გადადის რა რურის ოკუპაციის საკითხზე, ბრიტანეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ მან თანხმობა გამოსთქვა შეერთებოდა რჩევას გერმანიის მთავრობისადმი—გაუქმებულ იქნეს ბრძანებები და დეკრეტები, რომლებითაც მოწყობილია და გრძელდება პასიური წინააღმდეგობა, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია ხელი მოაწეროს იმ თეზისს, რომ პასიური წინააღმდეგობა უნდა შეწყდეს ყოველგვარი პირობების გარეშე, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას. „საფრანგეთი და ბელგია, ნათქვამია ნოტაში, მოითხოვენ, რომ ოკუპაცია დამყარებულ იქნეს იმ უფლების ძალით, რომელიც ეძლევა მოკავშირეებს ვერსალის ხელშეკრულების 18 მუხ. მეორე დამატებით. გერმანიის მთავრობა მუდამ ამტკიცებდა იმას, რომ ასეთი ოპერაცია აღნიშნული მუხლის სინდისიერად განმარტების დროს არ შეიძლება მოქცეულ იქნეს ეკონომიურ და ფინანსიურ აკრძალვების, რეპრესიების და სხვ კატეგორიაში. დიდი ბრიტანეთის გამოჩენილმა იურიდიულმა ავტორიტეტებმა აცნობეს ბრიტანეთის მთავრობას, რომ გერმანიის მთავრობის შენიშვნები სწორად არის დასაბუთებული და ამიტომ ბრიტანეთის მთავრობას არასოდეს არ შეუცვლია ის აზრი, რომ საფრანგეთ-ბელგიის მოქმედებები არ წარმოადგენენ „სანქციებს“, რომლებიც აღნიშნული არიან საზავო ხელშეკრულებაში“.

(ნოტის დასასრული დაიბეჭდება ხვალინდელ №-ში).

ინგლისის ნოტა სარეპარაციო საკითხის შესახებ.

ლონდონი. 11 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ საბოლოოდ შეიმუშავა ნოტა სარეპარაციო საკითხის შესახებ, რომელიც ხვალ გადაეცემა მოკავშირე სახელმწიფოებს. ინგლისის ყველა მიწერ-მოწერა საფრანგეთთან, ბელგიასთან და აგრეთვე გერმანიისადმი ინგლისის პასუხის პროექტი გამოქვეყნებული იქნება ორშაბათს.

რამდენი დაკარგა ინგლისმა ომის გამო.

მიღებული ცნობების მიხედვით, ინგლისის ახალ ნოტაში აღნიშნულია, რომ ინგლისი დაზარალდა ევროპაში ომის შემდეგ შექმნილ მდგომარეობის გამო არა ნაკლებ იმისა, რაც საფრანგეთმა ზარალი ნახა ომის მიზეზით ომის გათავების შემდეგ. ინგლისმა დახარჯა უმუშევრების დახმარებისათვის 400 მილ. გირ სტერლინგი, ესე იგი იმდენივე, რამდენიც საფრანგეთმა დანგრეულ ოლქების აღსადგენად.

ინგლისის ნოტის გადაცემა პუანკარესთვის.

პარიზი. 13 აგვისტო. ინგლისის ნოტა მიღებული იყო პარიზში გუშინ და საჩქაროთ გადაეგზავნა პუანკარეს, რომელიც ამ ჟამათ მეზის დეპარტამენტში იმყოფება.

პუანკარეს სიტყვა.

პარიზი. 13 აგვისტო. მარვილში (მეზის დეპარტამენტი) წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ კუნოს განცხადებას რეიხსტაგში პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელების შესახებ მხოლოდ ღიმილის გამოწვევა შეუძლია. პუანკარეს აზრით, მოკავშირეებს რომ ერთხმად წინადადება მიეცათ გერმანიისთვის პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტისა და ვალდებულებათა შესრულების შესახებ, მაშინ კუნო ის ვერ ილაპარაკებდა, როგორც ის ლაპარაკობდა უკანასკნელათ პასიურ წინააღმდეგობის შესახებ. „კუნო სასტიკათ სცდება, სთქვა პუანკარემ, თუ ის ფიქრობს, რომ ჩვენ წავალთ რურიდან ჩვენდამი კუთვნილი თანხების მიუღებლათ. ჩვენ ნებას არ მივცემთ, რომ მოგვატყუონ მარკის დაცემით და გერმანიის აოხრების მუქარით. ჩვენი მოთხოვნილებები კანონიერია, ჩვენ საკმაო საშუალებები გვაქვს და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ უკანასკნელი სიტყვა ჩვენზე დარჩეს. მოკავშირეთა ჯარის სიმამაცე გაუტეხელია. საფრანგეთი, რომელმაც მოიგო ომი, შესძლებს აგრეთვე მშვიდობიანობის მოგებასაც“.

დოკუმენტების გამოქვეყნების გარშემო.

პარიზი. 13 აგვისტო. „ტან“-ის ცნობებით, საფრანგეთის მთავრობა ემზადება ზოგიერთ იმ დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის, რომლებიც საკონტრიბუციო საკითხს შეეხებიან. ამ დოკუმენტების გამოქვეყნებაზე თანხმობის მისაღებათ საფრანგეთის მთავრობა შეეკითხა მოკავშირების მთავრობებს. პასუხი საფრანგეთის საკითხავზე ლონდონიდან და რომიდან ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

რომი. 13 აგვისტო. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის ნოტა საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ და აგრეთვე სხვა დოკუმენტები, რომლებიც „თეთრ წიგნს“ შეადგენენ, გადაცემული იქნებიან დღეს საფრანგეთის ელჩისათვის. ტექსტის გამოქვეყნებას ელიან დღეს. გამოქვეყნებული იქნება აგრეთვე საიდუმლო ნოტის შინაარსი, რომელშიაც ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მას განზრახვა აქვს განაგრძოს ის პოლიტიკა, რომელიც აღნიშნული იყო იანვარში ბონარ ლოუს მიერ პრემიერთა კონფერენციაზე პარიზში, მოითხოვს ამერიკისათვის გადასახდელ ინგლისის ვალების დაფარვას იმ საშუალებებით, რომლებიც მიღებული იქნებიან კონტრიბუციიდან, ანდა თავის კონტინენტალურ მოვალეებისაგან.

კერზონის ჩასვლა პარიზში.

რომი. 13 აგვისტო. პარიზში ჩავიდა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი.

ინგლისის ჯარების ევაკუაცია რურის ოლქიდან გადადებულია.

ლიფილდი. 11 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა არ გამოიყვანოს ჯერ საოკუპაციო ჯარები რურიდან: კაბინეტის ზოგიერთი წევრი ამტკიცებდა, რომ ევაკუაცია აიძულებდა საფრანგეთს შეეყვანა რურში კიდევ ერთი კორპუსი.

პუანკარე ცდილობს გერმანიასთან შეთანხმებას.

პარიზი. 10 აგვისტო. შვეციის ყოფილი წარმომადგენლის ბრანტინგის სიტყვით პუანკარესთან საუბრიდან მან გამოიტანა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პუანკარეს მეტათ სურს გერმანიასთან უშუალო მოლაპარაკება და მზათ არის კიდეც შეთანხმების მისაღწევათ გაუდევნოს გერმანიას საპატიო კაპიტულაციის შესაძლებლობა. ამ დღეებში ბრანტინგი მიემგზავრება გერმანიაში, სადაც იგი შეეცდება დაიყოლიოს გერმანიის მთავრობა შეთანხმების პოლიტიკისკენ.

ბელგია მოელის სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტას

პარიზი. 11 აგვისტო. ბელგიის მთავრობის აზრით, საოკუპაციო ოლქებში თავს იჩენს პასიურ წინააღმდეგობის შესუსტება. მთავრობის განცხადების თანახმად, ბელგია გულწრფელათ ისწრაფვის სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტისაკენ და ამ მიმართულებით იმოქმედებს მოკავშირეთა წინაშე.

ამერიკელების პროექტი.

ლონდონი. 10 აგვისტო. ბალდვინმა მიიღო ამერიკელ სავაჭრო კომისიის წარმომადგენლები, რომლებმაც წარუდგინეს მას სამოკავშირეთაშორისო ვალებისა და რეპარაციების დაფარვის პროექტი. პროექტი მდგომარეობს შეერთებულ შტატებისთვის მოკავშირეთა ვალების და გერმანულ რეპარაციების მიყიდვაში მცირე პროცენტით. ამასთანავე ვერსალის ხელშეკრულებაში შეტანილი იქნება ცვლილება, რომელიც მისცემს გერმანიას თავისუფალ კონკურენციის საშუალებას და მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს საფრანგეთს სამხედრო საშიშროებისაგან გერმანიის მხრით.

გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვა.

ბერლინი. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ფონ-როზენბერგმა რეიხსტაგში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სარწმუნო დოკუმენტებით ამტკიცებდა რურის ოკუპაციის უკანონობას. მან განაცხადა, რომ საუკეთესო საფუძველი შეთანხმებისათვის პასიური წინააღმდეგობის საკითხში, უნდა იყოს გერმანიის ტერიტორიის ხელუხლებლობის აღდგენა, დაკავებულ ოლქებიდან გადასახლებულების დაბრუნება და სხვ... დასასრულ მან მიუთითა საკონტრიბუციო საკითხის საჩქაროდ გადაჭრის აუცილებლობაზე, რადგან გაურკვევლობა ამ საკითხში იწვევს სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების დანგრევას.

ლოიდ-ჯორჯის სიტყვა.

ლონდონი. ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიამ კონტრიბუცია უნდა გადაიხადოს მისი გადახდის უნარიანობის ფარგლებში. ამავე დროს ის სავსებით ეთანხმება ბალდვინს, რომ საფრანგეთის მოქმედება არ არის სალი. აღნიშნა რა, რომ გერმანიამ უკვე გადაუხადა მოკავშირეებს ოქროთი და ოქროს ექვივალენტით 500 მილ. გირ. სტერლინგი, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია იმაში, რომ მოთმინების და სიმტკიცის პოლიტიკა უზრუნველყოფდა გერმანიის მიერ საკმაო კონტრიბუციის გადახდას არა თუ საფრანგეთის დანგრეულ ადგილების აღდგენისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, არამედ აგრეთვე სხვა ზარალის ასანაზღაურებლათაც.

ინგლისის მთავრობის წრეებში.

ბერლინი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის ავტორიტეტული წრეები ძლიერ კმაყოფილი არიან კუნოს განცხადებით, რომ გერმანია არავისგან არ უნდა ელოდეს დახმარებას, გარდა ინგლისისა. მაგრამ, მაინც აღიარებენ, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა გერმანიის მხრივ იმის ფიქრი, რომ ინგლისი მისთვის დახმარების გაწევის დროს, წავა თავისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამას ამტკიცებს ინგლისის რჩევა პასიური წინააღმდეგობის შესახებ. არავითარი უშუალო მოლაპარაკება ინგლისს გერმანიას შორის ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი. თუმცაღა შეცდომა იქნებოდა ინგლისის სეპარატიული მოქმედების შესაძლებლობის უარყოფა, მაგრამ, ამჟამად ინგლისის მთავრობას არ სურს გააუარესოს თავისი დამოკიდებულება საფრანგეთთან. ინგლისის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიის წინადადებებზე უნდა იქნეს გაგზავნილი პასუხი და ამავე დროს ამჯობინებენ, რომ პასუხი გაიგზავნოს ყველა მოკავშირეების სახელით.

საფრანგეთი აშინებს ინგლისს.

პარიზი. „დეილი მეილ“-ი სწერს, რომ ფრანგებს ეშინიათ და აფრთხილებენ ინგლისს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ევროპა წააწყდება გერმანიის ძლიერ საჰაერო ფლოტს.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ამხ. კოუტსი. ს. ს. რ. კ. შესახებ.

მოსკოვი. 10 აგვისტო. რუსეთში მოგზაურობის შემდეგ ლონდონში დაბრუნდა ინგლისის საზოგადოება „ხელები შორს რუსეთისაგან“—ის მდივანი კოუტსი.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს კოუტსმა განაცხადა, რომ მისი შთაბეჭდილებანი სრულებით ეწინააღმდეგება იმას, რასაც საზღვარგარეთ სწერენ რუსეთზე. **კერძოთ კოუტსი განცვიფრებულია ადგილობრივ მუშაკთა სიმარჯვით, მოხერხებით და სწორი პოლიტიკით, რომელსაც ისინი იჩენენ თავისი მუშაობის დროს. მაშინ, როდესაც დასავლეთში ის აზრია გამეფებული, ვითომც ხანგრძლივად არალეგალურ ორგანიზაციად ნამყოფ კომუნისტურ პარტიას არა აქვს ადმინისტრატიულ მუშაობის გაძღოლის უნარიო.**

კოუტსი აღნიშნავს საუცხოვო მოსავალს უკრაინასა და ყუბანში მაგრამ გაოცებულია იმ პირველყოფილი საშუალებებით, რომლითაც გლეხები მოსავალს იღებდნენ.

კოუტსის რწმენით, უცხოეთის სახელმწიფოებს რომ რუსეთისათვის სესხი მიეცათ, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შესაძენად, რუსეთი ხუთს წელიწადში ერთიორად გაადიდებდა სასოფლო-სამეურნეო მუშაობას.

კოუტსის სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლება ჰიბრალტარის კლდესავით მაგარია. რუსეთის მუშების ნივთიერი მდგომარეობა ამ ჟამად უკეთესია, ვიდრე ინგლისის დამტვირთავისა, მაღაროს მუშისა და შავი მუშისა. რუსეთის გლეხის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ინგლისის მიწის მუშათა მდგომარეობა. რუსეთში თუ სამი წლის განმავლობაში კარგი მოსავალი დარჩა, მაშინ რუსეთის მუშების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე ინგლისის მუშისა.

კოუტსის აზრით,—რუსეთი ერთად-ერთი მხარეა მთელს ქვეყნიერებაზე, სადაც მშრომელ ხალხს სრულის საფუძვლით შეუძლია იმედი იქონიოს ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

რუსეთი და ფინეთი

კილოს დაუკლეს.

ჰელსინგფორსი. 10 აგვისტო. სახელმწიფო საბჭომ დაადგინა შესცვალოს სანიტარული წესდება რუსეთის მოქალაქეთა და გემებისათვის. საექიმო გასინჯვა უნდა ხდებოდეს რაც შეიძლება უფრო სწრაფათ. მგზავრებს ზღვაზე მიმოსვლის ნება ეძლევათ. გარდა ამისა მათ უფლება აქვთ სანიტარულ გასინჯვის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოვიდენ ხმელეთზე, გემები კი, რომლებმაც რამდენიმე ნავთ-სადგური უნდა გაიარონ, გაისინჯებიან მხოლოდ პირველ ნავთსადგურში. სანიტარულ სამმართველოს წინადადება ეძლევა თავაზიანათ მოეპყრან მგზავრებს.

რუსეთი და გერმანია.

რუსეთის ეკონომიური აღდგენა იხსნის გერმანიას.

პარიზი. 10 აგვისტო. „ჟურნალ ინდუსტრიელ“-ი აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიური აყვავება საუკეთესო საშუალებაა გერმანიის საქონლების გასასაღებლათ. რათა აცილებულ იქნას რუსეთ-გერმანიის გაერთიანება, გერმანია უნდა განიარაღდეს და წაერთვას მას „გამოლაშქრების“ საშუალება.

ს. ს. რ. კ. და სრუტეების საკითხი.

რუსეთის მიერ სრუტეების კონვენციაზე ხელისმოწერის მნიშვნელობა.

ვენა 10 აგვისტო. ლოზანის კონფერენციაზე რუმინიის წარმომადგენელმა დიამანდიმ განაცხადა პრესაში, რომ რუმინიამ ევროპის მშვიდობიანობისა და სრუტეების თავისუფლათ სარგებლობის მიზნით წარმოადგინა ლოზანაში წინადადება, შავი ზღვით მოსარგებლე სახელმწიფოთა განაიარაღების შესახებ, მაგრამ ეს განუხორციელებლათ იყო ცნობილი. რუსეთის მონაწილეობას სრუტეების შესახებ დადებულ შეთანხმებაში, დიამანდი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს. რუსეთის ეს პირველი ხელმოწერა საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულებაზე სავალდებულოთ ხდის მისთვის შეთანხმებას სრუტეების შესახებ.

ლატვია და საბჭოთა კავშირი

ლატვია რუსეთთან ვაჭრობის განახლების ზომებს იღებს.

რიგა. 9 აგვისტო. გარეშე საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა ს. ს. რ-ის კ-ის პოლიტ. წარმომადგენელს ნოტა, რომელშიაც იუწყება, რომ ლატვიის მთავრობას განზრახული აქვს რიგის ნავთსადგურის გაღრმავება 26 ფუტამდე, რაც დამთავრებული იქნება სექტემბრის დამლევისთვის. ვინდავის პორტში სათანადო მუშაობა გრძელდება. ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ ნავთსადგურები უზრუნველყოფენ სატრანზიტო ტვირთის რეგულიარულსა და სწრაფ გადაზიდვას.

ინგლისის მრეწველთა ჯგუფის გამომგზავრება რუსეთში.

ლონდონი. 10 აგვისტო. ლონდონის მოსაქმე წრეები დიდს მნიშვნელობას აძლევენ ინგლისის მრეწველთა ჯგუფის რუსეთში გამგზავრებას. ამ ჯგუფს სათავეში უდგას საზოგადოება „მექსო და კომპანია“-ს გამგეობის თავმჯდომარე და პრემიერის ბიძაშვილი ბალდვინი. ხსენებულ საზოგადოებას ომიანობამდე მთელს რუსეთში ქონდა მანქანების საამშენებლო განყოფილებანი. ამ მისიის სხვა ცნობილ წევრთა შორის იქნებიან: ლითონის ჩამომსხმელ უდიდეს წარმოების „ბალდვინ და კომპ.“-ის დირექტორი—ჩარლი რაიტი, გემთა საამშენებლოს წარმომადგენელი—კარტერ ჯონ დონნი, „მანჩესტერის მანქანათა საამშენებლო საზოგადოების“ დირექტორი-ტარლი და სხვ.

ს. ს. რ. კ-ის პოლიტიკური წარმომადგენელი შვეციაში.

სტოკჰოლმი. 10 აგვისტო. ს. ს. რ. კ-ის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა ამხ. ოსინსკიმ დაათვალიერა გეტებორგში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და მთელი რიგი მსხვილი წარმოებისა. გამგზავრების წინ ამხ. ოსინსკიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში დაახასიათა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა და აღნიშნა ის თბილი შეხვედრა, რომელიც გაუწიეს მას გამოფენაზე.

იტალიას სურს ს. ს. რ. კ-თან სავაჭრო ხელშეკრულობის დადება.

რომი. 10 აგვისტო. გაზ. „სტამპა“ სწერს: „დადგა დრო რუსეთ-იტალიის შორის საბოლოოვო სავაჭრო ხელშეკრულების დადებისა. გაზეთის აზრით ეს ხელშეკრულება იქნება საბჭოთა რუსეთის ცნობის დასაწყისი.

მილიერანი პოზიციას იცვლის.

პარიზი 11 აგვისტო. მილიერანმა მიიღო რუსეთიდან დაბრუნებული ფრანგი მრეწველი სემიდენი. რუსეთში მის გამგზავრებამდე, მილიერანი მასთან საუბრის დროს არ მალავდა რუსეთისადმი არამეგობრულ განწყობილებას. ეხლა კი მილიერანის განწყობილება ს. ს. რ. კ მიმართ შესამჩნევად შეიცვალა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მრეწველები, რომლებსაც განზრახვა აქვთ რუსეთთან ვაჭრობის დაწყებისა, „ქვიშაზე აყენებენ საქმეს“.

სემიდენმა უპასუხა: საფრანგეთის საქმიანი წრეები „ქვიშაზე აგებენ საქმეს“, ვიდრე საფრანგეთსა და რუსეთს შორის ოფიციალური ურთიერთობა არ განახლდება.

მილიერანი ძლიერ დაინტერესდა რუსეთის მრეწველობისა და მიწათმოქმედების დღევანდელ მდგომარეობამ, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედების აღორძინებამ რუსეთის შავნიადაგიან ოლქებში: სამხრეთ გუბერნიებსა და ჩრდილო კავკასიაში.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

მოსკოვი. 10 აგვისტო. გაზეთების ცნობით, „მორნინგ პოსტ“-ში მოთავსებული შენიშვნა, რომელიც უმთავრესი საბუთი იყო ინგლისის მთავრობისათვის ამხ. რაკოვსკის ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის საკითხის გადასასინჯავად, ნათარგმნია მილიუკოვის „პოსლედნიე ნოვოსტი“-დან. კორესპონდენციის ავტორი არის ტირკოვა. **ამგვარად ინგლისსა და რუსეთს შორის მომხდარ დიპლომატიური კონფლიქტის კვანძი უნდა ვეძიოთ თეთრ ემიგრაციის წრეში.**

სხვადასხვა ამბები

იტალია

ფაშისტების მუშაობა.

რომი. 9 აგვისტო. ფაშისტებმა ლივორნოში ხცემეს შრომის პალატის მდივანს, პარმეში მოკლეს ერთი მუშა და სან-ალბერტოში დაიკავეს რესპუბლიკანური კლუბი.

ფაშისტურ საბჭოს მოწოდება.

რომი 9 აგვისტო. დიდმა ფაშისტურმა საბჭომ ორი კვირის თათბირის შემდეგ მიმართა მოწოდებით ყველა ფაშისტებს, რომელშიაც ის თავს ესხმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელებს და უწოდებს მათ ფაშიზმის უბოროტეს მტრებს. მოწოდების ასეთმა კილომ საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია, რადგან მუსოლინის უკანასკნელ ხანებში განზრახული ჰქონდა სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობა.

ბატონის ფეხებს ლოკავენ.

რომი. 9 აგვისტო. შრომის კონფედერაციის ერთ-ერთმა მეთაურმა, კოლომბინომ, განაცხადა, რომ, თუმც მისი მოლაპარაკება მუსოლინთან ჯერ-ჯერობით უშედეგოა, მას მაინც აქვს შეთანხმების იმედი. კოლომბინოს განცხადებით, სოციალისტებს არ შეუძლიათ მუდამ ოპოზიციაში ყოფნა.

კოლომბინომ განაცხადა, რომ იგი 20 წლის განმავლობაში ქადაგებდა ინგლისურის მზგავს მუშათა პარტიის დაარსების იდეიას და ეხლანდელი მომენტი მას ხელსაყრელათ მიაჩნია ამისთვის.

ინგლისი

1.196.000 უმუშევარი.

ლონდონი. 9 აგვისტო. ინგლისის უმუშევართა რაოდენობა ამჟამად 1.196.000 უდრის, რაც წარმოადგენს მომატებას შედარებით წარსულ კვირასთან 10.000-ით.

შარშან დაწყებული უმუშევრობის შემცირება ფაქტიურათ შეწყდა უკანასკნელ ხანებში. პრესა აშკარათ გამოსთქვამს შიშს მომავალ მდგომარეობის შესახებ.

იაპონია

მოსალოდნელია იაპონიის მთავრობის კრიზისი.

ტოკიო. 11 აგვისტო. პრემიერ ტაკოს ჯანმრთელობის გაუარესებამ გამოიწვია ხმები მისი გადადგომის შესახებ. კაბინეტის მოსალოდნელ გადადგომის უმთავრეს მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სამინისტრო თანახმა არ არის ადგილობრივ სამმართველოებს გადასცეს საადგილ-მამულო შემოსავალი, რასაც დაჟინებით მოითხოვს სეიუკაის პარტია.

იაპონიის პალატაში.

ტოკიო 11 აგვისტო. ზედა პალატის წევრთა ჯგუფი შეუდგა სახელმწიფო დაწესებულებათა რეორგანიზაციის კამპანიას. კენსეიკას პარტია, რომელსაც ზედა პალატაში უმრავლესობა ჰყავს, წინააღმდეგია ყოველგვარი რეფორმებისა.

ბიბლიოგრაფია

ვაჟა-ფშაველა, ტ. I. ლექსები. ს. აბაშელის რედაქციით.
ს. ს. ს. რ სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1922 წ.

ფრიად გასახარელია და მასთან ღირსშესანიშნავი ის ფაქტი, რომ სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიამ ხელი მიჰყო ჩვენი პირველხარისხოვანი პოეტებისა და მწერლების ნაწერების დასტამბვას.

ეს ფაქტი სიამოვნებით უნდა აღინიშნოს მით უმეტეს, რომ ნიჭიერი მწერლის კარგ გამოცემას აქვს არა მარტო პრაქტიკული, არამედ, კიდევ უფრო მეტად, წმინდა მეცნიერული მნიშვნელობა, სახელდობრ, ამ მწერალთა ენისა და ფრაზეოლოგიის შესწავლის საშუალებით, შესაძლებელი იქნება ბევრი სადავო სიტყვებისა და ტერმინების და ჩვენს ენაში ხმარებული ამა თუ იმ უცხო კონსტრუქციის გაგება და სათანადოდ გაშუქება.

სულ რომ არა იყოს-რა, ისეთი ჭეშმარიტი პოეტი, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, მისი მშობელი კუთხის დიალექტის ტიპიურობისა და განსაკუთრებული თვისებების საუკეთესო მატარებელია და ამ მხრით იგი ყოველთვის წარმოადგენს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მასალას, იმ დამოკიდებულების გასაშუქებლად, რომელიც არსებობს ხსენებული დიალექტისა და ამა თუ იმ ძველი პოეტის ენის ფორმებს შორის. მაშასადამე, მეტია იმის თქმა, რომ ამგვარი მასალა საუკეთესოდ შეუწყობს ხელს ამა თუ იმ ძველი სალიტერატურო ძეგლისა და მისი ავტორის პიროვნების საკითხებთან დაკავშირებული რთული და ძნელი ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემის გადაწყვეტას.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, მაშინ სრულიად ნათლად წარმოგვიდგება ჩვენი პოეტის სათანადო გამოცემის საჭიროება.

ვაჟა-ფშაველას ლექსების რედაქტორობა უკისრია სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის წევრს ს. აბაშელს.

საშა აბაშელი ჩვენი დროის საუკეთესო მელექსეთაგანია, და, მოგეხსენებათ,—„გულს გული იცნობს და ლონეს ლონე“—ამიტომ სრულიად ბუნებრივია მის მიერ ამგვარი საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და ხალისის გამოჩენა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ს. აბაშელს არ დაუზოგავს არაფერი, არც საკუთარი ცოდნა უნარი და არც შრომა მეცადინეობა, რომ ეს გამოცემა დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო. საკმაოა იმის თქმაც, რომ მას საუცხოვოდ დაულაგებია ვაჟას ლექსები ქრონოლოგიურ რიგზე და დაუსტამბავს საუკეთესო ქაღალდზე და ყველა ამასთან,—ამას კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს,—მას მიუნდვია ვაჟას ლექსებისთვის ლექსიკონის შედგენა, ცნობილი მეცნიერის პატივცემული პროფ. აკაკი შანიძისათვის.

ყველა ამით, რა თქმა უნდა, აიხსნება ის სასიამოვნო შთაბეჭდილებაც, რომელსაც სტოვებს მკითხველზე საერთოდ ეს გამოცემა

ლამაზი შრიფტი, იშვიათის ღირსების ქაღალდი, ლექსების ქრონოლოგიურ რიგზე დალაგება და ისეთი ავტორიტეტული პიროვნების, როგორიც არის პროფ. აკ. შანიძე, თანამშრომლად მიწვევა,—ყველა ეს, ვიმეორებთ, სრულიად ახალი და მასთან საუკეთესო მისაბაძი მაგალითია ჩვენი კლასიკური მწერლობის გამოცემისთვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც თვით გამომცემლის განმარტებიდან ჩანს, შეუძლებელი ყოფილა ზოგიერთი წვრილმანი დეფექტების თავიდან აშორება იმ მიზეზების გამო, რომლებიც დასახელებული აქვს როგორც თვით რედაქტორს ს. აბაშელს, ისე ბ. აკაკი შანიძესაც.

უპირველესად ყოვლისა, გამოცემის ღირსებას ოდნავ ამცირებს ის გულის გამაწვრილებელი შეცდომები, რომლებიც რედაქტორის მზრუნველ ხელს დიდის რუდუნებით გაუსწორებია წიგნის დამატებაში. ამ არა სასიამოვნო მოვლენას, რა თქმა უნდა, ადგილი არ ექნებოდა, რომ რედაქტორს სათანადოდ დამუშავებული ტექსტის რედაქცია გადაეცა სტამბისათვის.

ამას გარდა ბ. აკ. შანიძის მიერ დასახელებული საპატიო მიზეზებითვე უნდა ახსნილ იქნას, ჩვენის აზრით, ის გარემოებაც, რომ ლექსიკონში განმარტებულია ბევრი უმისოდაც სრულიად ადვილ-გასაგები სიტყვები, როგორიცაა: თუნდა—არრადმე, (28, 36) არრის (93,5), არროდის (110,19), დაფრინავს (75,27), დაწუხებული (9,27), დედა ბოძი (165,8), ეშმანათ (112,30) და სხვა მრავალი, და ამავე დროს, უყურადღებოდ არის დატოვებული ისეთი სიტყვები, რომელთა ახსნა-განმარტებაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. (კაეშანი, ვარამი და სხვები).

ყველა ამასთან საჭირო იყო, ჩვენის აზრით, ყოფილიყო ნაჩვენები ამა თუ იმ სიტყვის სადაურობა, ანუ, უკეთ, პოეტის დიალექტით ხმარებული სიტყვებისა და ტერმინების შესატყვისობანი რომელსამე უცხო ენაში, რასაც თავისი მხრით, მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გასაშუქებლად, თუ რამდენად ძლიერია ამა თუ იმ უცხო ენის გავლენა ამ ჩვენთვის საინტერესო დიალექტზე.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

ბ. აკაკი შანიძე, ეტყობა, სრულიად უარჰყოფს იმ გზას, რომელსაც ადგა ეგრეთწოდებული პეტერბურგის, ანუ, უკეთ, ვიკტორ ბარონ როზენის სკოლა და ამ სკოლის უძლიერესი წარმომადგენელი აკად. ნ. მარი, და ამიტომ სრულიად გვერდს უხვევს ნასესხები სიტყვების შესატყვისობათა აღნიშვნას, მაშინ, როდესაც მხოლოდ ამ შესატყვისობათა საშუალებით არის შესაძლებელი ნასესხები სიტყვების ნამდვილი აზრისა და მნიშვნელობის გაგება.

ამ ჩვენ მიერ დასახელებული გზის უარყოფა კი, ლექსიკოლოგის მხრით, არ შეიძლება გამართლებულ იქნას ნამეტურ შემდეგი მოსაზრებითაც: ფშაური ერთი იმ ქართულ კილოკავთაგანია, რომელშიაც ყველაზე წმინდად და უცვლელად არის დაცული არაბ.-სპარსულიდგან ნასესხები სიტყვები, როგორიცაა, მაგ., „ხანჯარი“, „ხანჯალ“-ის ნაცვლად, „დავლათ“-ი, „დოვლათ“-ის ნაცვლად, „ილეთ“-ი „ილათ“-ის ნაცვლად და წმინდა სპარსული ფორმები, როგორიცაა: ბაირახტარი, resp. სპარ. „ბაირაყდარ“-ი, ბადრი, არაბ.-სპარ. ბადრ, „აბასტად“, სპარსული „აბასტა“-საგან და სხვა მრავალი.

ყველა ამ სიტყვათა ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა, ვიმეორებთ, ბევრად უფრო ცხადი ხდება მათ არაბ. სპარსულ შესატყვისობათა ახსნა-განმარტების შემდეგ.

ამიტომაც, ჩვენის აზრით, ბ. აკაკი შანიძეს რომ აღნიშნული მხარისათვის ყურადღება მიექცია, სპარსულიდგან ნასესხები სიტყვების განმარტებანი ბევრად უფრო სწორი და გასაგები იქნებოდა, ვიდრე ისმის მიერ წარმოდგენილ ლექსიკონშია.

მაგრამ, სჯობს, მოვიტანოთ ზოგიერთი შემთხვევა.

ლაღი (14, 9)—ბ. შანიძით—მხიარული. აქ კი მხიარულს ლაღი არ ჰნიშნავს, არამედ „ცელქს“, სახელდობრ:

„ლაღის მდინარის პირზედა“ ჰნიშნავს: „ცელქის მდინარის პირზედა“.

აგრეთვე, ბ. შანიძით, „ის ლაღნი ძნი კლდეთანი“, იხ. ლაღი (19, 34) ჰნიშნავს „მხიარულნი ძნი კლდეთანი“ (ან კმაყოფილნი), მაშინ როდესაც აქ აზრით უნდა იყოს, „თავისუფალნი“ „ნებიერნი“, ან „ამაყნი“ ძნი კლდეთანი, ან და კიდევ: „შეუპოვარნი, უკადრონი“ და არა „მხიარულნი“.

ეს ჩვენ მიერ მოტანილი განმარტება სავსებით გამოჰხატავს „ლაღი“-ს სპარსული ეთიმოლოგიის ჭეშმარიტ აზრს.

„ლაღი“ იგივეა, რაც სპარსული „ლაღ“ და ჰნიშნავს ხუმრობას, ცელქობას, თამაშს, ნებივრობას, აქედან ქართული ლაღი ზედშესრული-ს აზრით, აღნიშნავს სრულიად ბუნებრივად ნებიერს, თავისუფალს, ამაყს, თავხედს, კადნიერსა და უკადრს.

ასე რომ „ხარია გალაღებული“ იგივეა, რაც ხარია თავისუფალი, განებივრებული, ან გათამამებული, გაამაყებული, შეუპოვარი, თავ-აშვებული და სხვა და არა გახარებული შესდ. ბ. შანიძის განმარტება: გალაღებული (53, 27)—გახარებული. აგრეთვე „ალაღოთ“ (174, 9)—ახაროთ-ს კი არ ჰნიშნავს, არამედ—ანებივროთ, ასუქოთ, ისე როგორც „ალაღებული“ (54, 10)—ამაყს.

ამავე აზრით იხმარება სიტყვა ლალი და მისგან წარმოებული სიტყვები ძველ ქართულ საერო ლიტერატურის ძეგლებშიაც.

იხ. ამის შესახებ ჩვენი „შაჰ-ნამე“-ს ლექსიკონი, სიტყვები:

„ლალი“ და ლაღობა და „ვეფხ.-ტყაოსნ“-ის ლექსიკონში — სიტყვა „ალაღება“ (396, 2).

კობალი, (6,30)—ბ. შანიძით,—კომბალი. ამგვარი განმარტება კი საკმარისი არ არის. პატივცემულ მეცნიერს რომ აღენიშნა: „კობალი იგივეა, რაც ქართლურ-იმერული კომბალიო და იქვე მოკლედ განემარტა ამ სიტყვის ორივე სახე, მაშინ დამაკმაყოფილებელი იქნებოდა მისი განმარტება, რადგან კომბალი, მართლაც, არის გავულგარებული კობალი, სპარს. კობალ, resp კოფალ და, მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც ფშაურს საუცხოვოდ შემოუნახავს ჩვენთვის ამ სიტყვის სწორი სპარსული სახე „კოპალ“, რომელიც ჰნიშნავს „რკინის ჯოხს“, ან „თავმომრგვალებულ ჯოხს“.

ილეთი (58,9)—ბ. შანიძით—შნო (?!)—ილეთი კი, ჩვენის აზრით, იგივეა რაც ხიბლი, ხერხი, ოსტატობა, მხიბლაობა, თვალთმაქცობა, მოხერხება, და არის არაბული „ილლეთ“—ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა იხილეთ ჩვენს „შაჰ-ნამე“-ს „ვერსიები“-ს ლექსიკონში.

აბასტად, (62,14)—ბ. შანიძით—უეცრად, უცებ, მოულოდნელად. აბასტა კი—სპარსული სიტყვაა და ჰნიშნავს—ჩუმს, წყნარს, ცბიერს მლიქვნელს, ილათიანს,—ასე რომ აბასტად ჰნიშნავს,—სწორედ რომ განვმარტოთ,—ჩუმად, იდუმალ, მალვით, მუხთლად, ლადრად, ცბიერად ილათით, და არა უცებ, ან უეცრად. საყურადღებოა ამასთან ისიც, რომ სპარსელები ამ სიტყვას ძალიან ხშირად ხმარობენ მელიის ეპითეტადაც.

დავლათიანი, 21,21.—ბ. შანიძით—მდიდარი, დიდებული; დავლათიანი კი—ხალხურად აღნიშნავს—მადლიანს, ბარაქიანს, კურთხეულს, სვიანს; უბედნიერესს, ნეტარს, სახელგანთქმულს; მდიდარს კიდევ ჰო, მაგრამ დიდებულს კი „დავლათიანი“ არასოდეს არც აღნიშნავდა, არც დღეს აღნიშნავს.

ალალი, (25,20) და **ალამი,** 188,29) განმარტებულია მათი პირვანდელი არაბული მნიშვნელობის თანახმად, თუმცაღა არც ის იქნებოდა მეტი, რომ აღნიშნული იყოს მათი არაბული შესატყვისობანი ალალ და ალამ.

არა ნაკლებ საყურადღებოა სახე შეცვლილი და გავულგარებული ნასესხები სიტყვების „მუდრაგ“-ისა და „ოხერ“-ის დასახელებული გზით ახსნა-განმარტებაც.

მუდრაგი (34,15)—ბ. შანიძით—მუდრეგი. ამგვარი განმარტებით კი—ერთნაირად გაუგებარი რჩება, როგორც „მუდრაგი“-ს ისე „მუდრეგი“-ს ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა. **მუდრეგი** არის იგივე, რაც სპარსული **მურდეგი**; წარმოებულია ეს სიტყვა სპარსული მურდეჰ—ისაგან, რომელიც არის ნამყო დროის მიმღეობა სახელზმნისაგან **მურდ-ენ**—კვდომა და არის მნიშვნელობით იგივე, რაც „მომკვდარი“. ეს ფორმა განყენებულობის აღმნიშვნელი სპარსული სუფიქსის ია-ის მიმატებით, იძლევა ფორმას „მურდეგი“, რომელიც აღნიშნავს მომკვდარის მდგომარეობას, მკვდრის ყოფას, ე. ი. ქართულად რომ ვთქვათ, იგივეა, რაც „მკვდარ-ოხერი“, „ოხერ ტიალი“, ბედ-კრული და სხვა.

ოხერი, (11,15—ბ. შანიძით—უპატრონო; **გაოხრებული** (107,18)—აოხრებული, ამოგდებული, დაქცეული. **ოხერ-ტიალი.** (11,15)—უპატრონო და დაქცეული. ჩვენის აზრით, ამგვარ განმარტებაზე უკეთესი იქნებოდა ამ სიტყვის შესატყვისობის ჩვენება იმ ენაში, საიდანაც იგი არის შემოსული ჩვენში. ოხერი კი—არის არაბული აახირ—უკანასკნელი, ბოლოს გდებული, დაბოლოს მოთავსებული. ეს სიტყვა შემოჭრილია ჩვენს ენაში სპარსული ენის ერთ-ერთი დიალექტის საშვალებით. ასე, მაგ., შირაზის რაიონის ერთი თემთაგანი ამ სიტყვას ჰხმარობს დღემდი ფორმით ოხერ“—და ჰნიშნავს უკანასკნელს, ბოლოს, დასასრულ, იხ.

В. А. Жуковскій. материалы для изучения персидских наречий. Часть II. Вып. I Петроград 1922, გვ 90. სიტყვა. Achir—последний, наконец.

აბეჩხარი,—ბ. შანიძით უპატრონოდ ქცეული, გაპარტახებული, ნამდვილად კი იგი არის ხან ჩამატებული სპარსული სიტყვა ბეჩარა—უსაშველო, უმწეო. იგი შესდგება სპარსული პრეფიქსისაგან ბი—(უ-რისო) და ჩარა—საშველება, ჩარა, ილაჯი,—აქედან—ბეჩარა—უჩარაო, უმწეო, უილაჯო; აი სწორედ ეს ბეჩარა უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ხალხურად შეცვლილი აბეჩხარი—აქედან გააბეჩხრებული იგივეა, რაც გაბეჩარებული, უმწეო უპატრონოდ მიტოვებული, გაპარტახებული, ისე როგორც პატივცემულ მეცნიერსაც აქვს.

აბადი, (27,18;)—ეს სახელწოდება სოფელს მიუღია, როგორც ჩანს, ადგილმდებარეობის მიხედვით: იგი გაშენებულია მაღალსა და განმარტოებულ ადგილზე, რის გამო მას მიუღია არაბული სახელწოდება „აბადი“—ერთადერთი. ეს სახელწოდება, ამნაირად, არაბთა ბატონობის დროინდელი უნდა იყოს.

ანდარეზა, 129,5—ბ. შანიძით—კაცის სახელია. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ იქნება, ლექსიკოლოგის მხრით, იმის აღნიშვნაც, თუ საიდან არის ეს სიტყვა შემოსული ჩვენში ანდარეზა კი—არის ბერძნული მითიური მიჯნურის სახელი ანდარეზი, რომელიც სპარსულშიაც ჩვეულებრივ პოპულიარულ სახელად ითვლება.

საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ სპარსული სახელები და ეპითეტები ძლიერ გავრცელებულია ჩვენს მთის ხალხებში, რაც აშკარად ჰმოწმობს სპარსულის ძლიერ გავლენას მთის დიალექტებზე ასე, მაგ., ამავე ფშაურში მეტის მეტად პოპულიარულია. წმინდა სპარსული სიტყვა ალუდა, იხ. აქვე, გვ. 244, ალუდა, (158,17)—კაცის სახელია, სპარსულში კი ჰნიშნავს—გასვრილს, გამურულს.

აგრეთვე წმინდად არის დაცული ფშაურში, როგორც საკუთარის, ისე საზოგადო სახელის, სახით არაბ.—სპარსული „ბადრ“-ი, რომელიც ამ შემთხვევაში ჰნიშნავს სავსე მთვარეს, იხ. ბადრი, (134,5), ხოლო ძალიან ხშირად იგი იხმარება, როგორც კაცის სახელი, სწორედ ისე, როგორც სპარსულში.

დიდი ყურადღების ღირსია ამ შემთხვევაში ისიც, რომ ფშაურში მეტის-მეტად წმიდად არის დაცული სპარსული სიტყვა ბაირახტარი, resp სპარს. ბაირაყდარ მებაირაღე, მედროშე. ეს სიტყვა დღეს ქართულში გავრცელებულია საყოველთაოდ სწორედ ფშაურის საშვალებით.

იუსტინე აბულაძე.

(დასასრული იქნება).

მუშათა ცხოვრება

ქალაქის აღმასკომში

ა. წ. 8 აგვისტოს აქ შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ბასილია, მდივნობდა ამხ. წულაძე.

დღის წესრიგში იდგა:

1. მოხსენება ადგილკომისა თავის მუშაობის შესახებ;
2. დელეგატების არჩევა;
3. მიმდინარე კითხვები.

მოხსენება გააკეთა ამხ. კარაგულიანმა ადგილკომის მუშაობაზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილკომი ცდილობდა პირველ რიგში თანამშრომლების გაუმჯობესებას. მუშაობას ადგილკომი აწარმოებდა პროფკავშირის დირექტივებით; შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს იგი უკან აბრუნებდა პირველ რიგში, თუ კი რაიმე ადგილი გამოჩნდებოდა ითვალისწინებდა რა მისს სოციალურ მდგომარეობას. კვირაში ერთხელ ადგილკომს ჰქონდა სხდომა, სადაც არჩევდა ის მოსამსახურეების განცხადებებს; ის დიდს ყურადღებას აქცევდა, რათა შვებულებით ესარგებლებია ყველა თანამშრომლებს და შრომის კოდექსის ძალით შვებულება ეძლეოდა ყოველ მათგანს, დაავადმყოფებულ მოსამსახურეებს ადგილკომი აგზავნიდა საავადმყოფო სალაროში, სადაც მას დახმარებას უწევენ. ამხ. კარაგულიანმა აღნიშნა კულტ-განმანათლებელი მუშაობა მოკლედ. მუშა-მოსამსახურეთ მოსდით გაზეთების ყველა ნომერი და ყველა საბჭოთა გამოცემანი. შემდეგ თანამომხსენებლად გამოვიდა შემთანხმებელ კომისიის მდივანი ამხ. მიხაილოვი. მან აღნიშნა, რომ შემთანხმებელ კომისიაში რამოდენიმე მიმოწერები იყო გასარჩევი, რაც უკვე გაირჩა მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ. დიდ ზომებს ღებულობდა შემთანხმებელი კომისია თანამშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ჭეშმარიტად დასრულა თავისი მოვალეობა.

არის სამკითხველო მუშა-მოსამსახურეთათვის, სადაც მოიპოვება 400 ცალი წიგნი; დაარსებულ აქ მარქსისტული წრე ადგილკომთან. პროფკავშირის მიერ დაარსებული ცენტრალურ კლუბში თავისუფლად დაიარებიან ყველა თანამშრომლები და სარგებლობენ იქაურ სამკითხველოთი, ამასთან ერთად მათ შეუძლიათ ჩაეწერონ იქ არსებულ ყველა წრეებში, ამის გამო ადგილკომი აღარ ცდილობდა განსაკუთრებულ კლუბის მოწყობას, გარდა პოლიტ წრეების დაარსებისა, ვინაიდან ის იწვევდა ზედმეტ ხარჯებს.

კრებამ ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნობს საერთო მასშტაბში და გადადის მორიგ საკითხზე.

შემდეგ მე-4 რაიონის უპარტიო დელეგატთა კონფერენციაზე დასასწრებლად კრების მიერ არჩეულ იქნა უპარტიო დელეგატები.

მუშკორი ა. მიქ.

საჰაერო ფლოტის კვირეული ჩვენ მუშებში

ა. წ. 2 აგვისტოს შესდგა საქონლის სადგურის მუშების საერთო კრება. კრებაზე ავიაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს საჰაერო ფლოტის წარმომადგენელი. იგი თავის ვრცელ მოხსენებაში ყოველმხრივ შეეხო როგორც ომიანობის დროს, ისე კულტურულ სფეროში ავიაციის უდიდეს მნიშვნელობას—და მას გამოყავს ის დასკვნა რომ, რადგანაც ჩვენ არა ვართ უზრუნველყოფილი იმპერიალისტურ სახელმწიფოების თავდასხმისაგან, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს საჭიროების დროს მტრის წინ ახვედრად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ჰყავდეს ძლიერი საჰაერო ფლოტი.

ომიანობის გარეშეც, მშვიდობიანობის დროსაც ავიაცია უდიდეს როლს თამაშობს კულტურულ სფეროში; ის აქაც პირველ ადგილს იჭერს მსწრაფ გადაზიდვა-გადმოზიდვის და გადაყვან-გადმოყვანის საქმეში; მისი საშუალებით მომავალში შესაძლებელი იქნება ყოველგვარ სამიწ ღრუბლების დაშლა ჰაერში, რომელიც სეტყვით ხშირად ანადგურებს მიწის მოსავალს და კაცობრიობას უმზადებს სიმშილს. მისივე საშუალებით შესაძლებელი ხდება სწრაფად მოისპოს პურეულის და ჭირნახულის გამანადგურებელი მწერები, როგორიც არის კალია და სხვა. მიუვალ ადგილებზე სარწყავების მოწყობა, ცეცხლისაგან საჩქაროდ გადარჩენა ტყეების და მინდვრების და სხვა ყველა ეს მომავალ ავიაციის მოვალეობას შეადგენდეს იქნება. ამიტომ მომხსენებელმა მოუწოდა მუშებს მიეღოთ მხურვალე მონაწილეობა ძლიერ საჰაერო ფლოტის ასაშენებლად.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენს მუშებზე და მიუხედავად იმისა, რომ კრების წინა დღეებში უკვე დაიწყო ხელისმოწერა რკინის გზის მე-4-ე ყრილობის მიერ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად საკუთარი საჰაერო ფლოტის ასაშენებლად, რისთვისაც მუშებმა უკვე გაიღეს თავისი წვლილი, ამ კრებაზედაც დაადგინეს ჩვენმა მუშებმა სამი თვის განმავლობაში თვეში ერთი დღის ნამუშევარი იხადონ საჰაერო ფლოტის ასაშენებლად.

მუშკორი ივ. ბ—შვილი.

რკინის გზელ მუშებში

ამა წლის 10 აგვისტოს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში შესდგა ამ დარგის ყველა სახელოსნოების მუშათა შეერთებული კრება.

კრება გახსნა ამხ. რუხაძემ. დღიურ საკითხად იდგა: 1) ჯამაგირის დაგვიანების საკითხი; 2) კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავი.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. რუხაძე, რომელმაც აღნიშნავდა, რომ ივლისისთვის ჯამაგირის მიღება ჩვეულებისამებრ 10 აგვისტოს ვერ მოხერხდა, რის მიზეზი უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთმა ცეხმა აღნიშნულ თვეში გაკეთებულ საქმის ანგარიშები დანიშნულებისამებრ თავის დროზე ვერ წარადგინა. ამიტომ ამხ. რუხაძე მოუწოდებდა ცეხებს, რომ მომავალში აღარ მომხდარიყო ასეთი შეცდომა. რადგან ჯამაგირების დაგვიანებით მიღება სიძვირის ყოველდღიურად მომატების გამო დიდს ზიანს აყენებს მუშებს.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთეს: ქართულად ამხ. ლ. ქავთარაძემ, და რუსულად კავკასიის ცალკე არმიის წარმომადგენელმა ამხ. მატვეევმა.

ორატორებმა აღნიშნეს კავკასიის ცალკე არმიის დიდი როლი ამიერკავკასიის მშრომელთა სადარაჯოზე. მოიხსენიეს ის მომენტიც, როდესაც რევოლიუციის მტრები ამ არმიის საქართველოში შემოსვლას სთვლიდნენ როგორც აქტს საქართველოს დაპყრობისას, მაგრამ ეს აზრი სრულებით არ გამართლდა. კავკასიის ცალკე არმიამ შემუსრა ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა მტრები; და თვით ამიერ კავკასიელთა მშრომელი მასები შეაერთა, დააძმობილა, მშვიდობიანობის და კეთილ-მეზობლურ ნიადაგზე დააყენა და სხვა. კრებამ მოხსენების გამო დაადგინა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ცალკე არმიის დღესასწაულის ჩასატარებლად

მუშა ივ. ბალიაშვილი.

ტფილის საქონლის სადგურში

10 აგვისტოს სადგურ ტფილისის აუდიტორიაში მტვირთავ მუშების მოთხოვნით შესდგა მასიური კრება; კრებას დაესწრო ცენტრალ-სატრანსპ. კავშირის მდივანი, ტრამოტის წარმომადგენელი და 400 მუშა. კრების მიზანი იყო გამორკვეულიყო ის მდგომარეობა, რომელშიაც 6 თვის განმავლობაში მეთაურების უცოდინარობის გამო იტანჯებოდნენ 1.200 მუშა. 6 თვეა, რაც ეს მუშები შევიდნენ სატრანსპ. კავშირში; კავშირმა გადასცა ისინი ტრამოტას, და აი ამ ტრამოტას ხელში მუშების მდგომარეობა ენით არ ითქმის და კალმით არ აიწერება საცოდავ მდგომარეობაში არიან ფიზიკურად მომუშავე მუშები. რვა საათის განმავლობაში ათ ფუთიანი ტვირთები გამოაქვთ და შეაქვთ მათ ვაგონში ზურგით და ჯამაგირი კი ეძლევათ 6 მანეთიდან 13 მანეთამდე თვეში. ეს ჯამაგირი კი დღევანდელ ბაზრის ფასებთან შედარებით ერთ მუშას ერთის კვირას ძლივს ეყოფა. დანარჩენ დროს რით ირჩინოს მან თავი, რითი გამოკვებოს მან ცოლშვილი, ან რით იყიდოს ტანისამოსი, რომელიც ამ ფიზიკურ შრომაში უცვდება. დღემდე ამ მუშებს სპეც-ტანისამოსის მიცემა არ ეღირსათ. რით აღადგინოს მან იმ მძიმე შრომაში დახარჯული თვისი შრომის ძალა, აი კითხვები, რომლებიც წამოყენებული იყო კრებაზე. კავშირის წარმომადგენელმა გეიდენმა სთქვა, რომ ტრამოტას საშუალება არა აქვს მუშების მინიმალურ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, მაგრამ ამ საქმის სპეცებმა, (მაგ. ნ. კობიძემ და სხვ.) დაუმტკიცეს კრებას, რომ ეხლა ფუთობის ტრიალი უფრო მეტია, და შემოსავალიც მეტი იყო, მაგრამ ტრამოტის ადმინისტრაცია მილიარდობით ახმარებდა მუშების ფულს დამტვრეულ ფურგონების ავტომობილების და დახოცილ ცხენების დეფიციტის დაფარვას. საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელთა ცოცხალ ძალას და ფურგონები კი შემდეგში შევაკეთოთ.

კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია ამხ. ნიკო კობიძის წინადადებით: 1) დაწესდეს მინიმუმად 10 საქონლის მანეთი და გადაყვანილ იქნენ ფიზიკ. მშრომელნი მეშვიდე კატეგორიაში; 2) დაუბრუნდეს მუშებს ის უფლებები, რომელნიც ქონდათ მათ ტრამოტას ხელში გადასვლამდე და 3) თუ არ დააკმაყოფილებს მუშებს ტრამოტა, დაევალოს კავშირს, რათა ჩამოშორებული იქნას ტრამოტა ამ წარმოებიდან, არჩეულ იქნეს ახალი კოლეგია, რომელიც აწარმოებს თავის პასუხისგებით ქვეშ რკინის გზის კავშირთან და მუშებთან მოლაპარაკებას. ამისთვის არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისაგან, სადაც შევიდნენ: ნიკოლოზ კობიძე, გ. ჩარხიშვილი, ქ. უჯმაჯურიძე, ბერიშვილი და სერაფიონ თავბერიძე.

მუშკორი **გიორგი ჩარხიშვილი.**

მუშათა კრონიკა

— **მუშკორების ექსკურსია.** კვირას, 12 აგვისტოს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელ მუშა კორესპონდენტებმა დაათვალიერეს საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი. მუშკორებს ისტორიულ ნაშთების ახსნა განმარტებას აძლევდა ცნობილი საქარ. საზოგ. მოღვაწე და ისტორიკოსი სერგო გორგაძე ჩვენი მუშკორები კმაყოფილი დარჩნენ ექსკურსიით.

საბჭოთა კავშირში

შრომის და თავდაცვის საბჭოს შესახებ.

მოსკოვი. 11 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დებულება საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსი, რომელსაც ევალება განხილვა სახელმწიფოს თავდაცვის, სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა ცხოვრებაში გატარება კავშირის სამეურნეო-საფინანსო გეგმისა, საკავშირო სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელობა სახელმწიფო მეურნეობისა და რესპუბლიკის თავდაცვის დარგში, საკავშირო მნიშვნელობის ტრესტთა წესდებისა და სააქციონერო საზოგადოებათა წესდების დამტკიცება, რომელნიც მოქმედობენ საკავშირო ტერიტორიაზე.

რუსეთი.

„მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ აჯანყებათა მომწყობი კავშირის“ საქმე.

პოლტავა. 9 აგვისტო. დამთავრდა „მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ აჯანყებათა მომწყობი კავშირის“ საქმის გარჩევა. საბოლოო სიტყვაში ბრალდებულები თხოულობდენ შებრალებას და პატიოსან სიტყვას იძლეოდენ ემსახურონ საბჭოთა ხელისუფლებას. კავშირის სამ მეთაურს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, ციხეში დამწყვდევით შეცვლით ხუთი წლის ვადით.

პარტიული ცხოვრება

როგორ მუშაობს გარე-კახეთის სარაიონო კომიტეტი.

გარე-კახეთის დიდი რაიონი (15—20 ვერსით რადიუსში) შეადგენს ტფილისის ორგანიზაციის ნაწილს. რაიონში 8 კომიჩეიკაა და ორგანიზაციის 62 წევრი, რომელთა შორის 1—კანდიდატია, დანარჩენნი—პარტიის წევრები. სარაიონო კომიტეტი მოთავსებულია სოფ. სართიჭალაში, საუბნო ბიურო—სოფელ მარტყოფში. [illegible] აერთიანებს 32 წევრიან 5 კომიჩეიკას

წევრთა რიცხვის მიხედვით სარაიონო კომიტეტის ბიურო და პლენუმი ფაქტიურათ ერთმანეთს ეთანაბრებიან. აპარატი შემცირებულია მინიმუმამდე. სარაიონო კომიტეტის მდივანი იმავე დროს ორგანიზაციის გამგეც არის. ინსტრუქტორი ერთსა და იმავე დროს საგიტ. საპროპ განყოფილების გამგეც არის და ქალთა განყოფილების ორგანიზატორიც.

სტატისტიკურ საალრიცხვო განყოფილების გამგე იგივე საქმეთა მმართველია. სარაიონო კომიტეტის მუშაკებს ხშირათ უხდებათ რაიონში მოგზაურობა ერთმანეთიდან დაშორებულ სოფლებსა და სოფლის იაჩეიკებში კამპანიების საწარმოებლათ.

მოწესრიგებულია 21 პოლიტიკური წრე 262 წევრთა საერთო რაოდენობით, რომელთა შორის 45 ქალია. უკანასკნელ 4 ნახ. თვის განმავლობაში (შუა მარტიდან აგვისტომდე) სარაიონო კომიტეტს ქონდა 15 სხდომა, გარჩეული იყო 55 საკითხი უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ყველა პრაქტიკული საკითხები არ სწყდება ფორმალურად მოწყობილ სხდომებზე, არამედ ირჩევიან და ტარდებიან თვით მუშაობის პროცესში.

შედარებით საქმის საკანცელარიო მხარის სიმცირის პირობებში, ამ დროის განმავლობაში სარაიონო კომიტეტში გატარებულია 757 ქაღალდი, მათ რიცხვში ზედის ცენტრის (ტფ. კ—ის) ცირკულიარები, განკარგულებანი და ინსტრუქციები, „გასული“ ქაღალდები და სხვა

კარგათ მიდის საორგანიზაციო და სააგიტაციო მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია ბანდიტიზმის ლიკვიდაციის მუშაობასთან. მენშევიკების გახრწნა გამოხატება მენშევიკურ პარტიიდან გასულ წევრთა რიცხვით—48 ით. კომპარტიაში მიღების წესები რომ არ იყოს, მთელი სოფლები მთლიანათ ჩაეწერებოდენ პარტიაში. რასაკვირველია, ეს არ არის ჩვენი მუშაობის სრული მაჩვენებელი, მაგრამ თანამგრძნობთა რაოდენობა მართლაც დიდია.

კამპანიების შედეგია—მიტინგები, რომლებზედაც სოფლის დედაკაცები ამბობენ, რომ მათ თვალი აეხილათ და ისინი მოკვდებიან ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლებულნი.

მღვდლები—რიცხვით 4 და ერთი ბერი გაიპარსნენ და მშვიდობიან შრომას მიმართეს. გლეხები მთელის ძალღონით გვეხმარებიან ბანდიტიზმის აღმოფხვრაში; მოსპობილია 5 ბანდიტი, მათ შორის ორი მოკლულია სროლის დროს უმსხვერპლოთ ჩვენის მხრით. მოკლული არიან ცნობილი წიქურიშვილი და მათიაშვილი.

სარაიონო კომიტეტის ინიციატივით მოწყობილია მოზრდილთათვის კურსები სახალხო განათლების განყოფილების პროგრამით (სწავლობს 27 გლეხი). სარაიონო კომიტეტმა მოახერხა პირველი (ამ რაიონისათვის ისტორიული) მთელი რაიონის ქალთა სადელეგატო კრების მოწვევა, რომელსაც დაესწრო სხვადასხვა სოფლის 84 დელეგატი—ქალი. მოწვეული იყო იაჩეიკების მდივნების თათბირი, რომელზედაც მონაწილეობდა 12 ამხანაგი პასუხისმგებელ მუშაკთა თანადასწრებით.

მოწვეული იყო 2 ანტირელიგიური მიტინგი, რომელზედაც რელიგიის წინააღმდეგ გამოვიდენ ყოფილი მღვდლები—სულ ასეთი მიტინგები გაიმართა 4-ჯერ. ეკლესიები მრავალ სოფელში დახურულია. მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ახალგაზრდათა კომკავშირისათვის გადაცემული პატარა ეკლესია სოფელ საგარეჯოში. იქ ჩვენ ვნახეთ ფიცრები, ინსტრუმენტები და სცენათ გადაკეთებული საკურთხეველი. მუშაობა წინ მიდის და მალე იქ სოფლის კლუბი და თეატრი იქნება.

ერთჯელ შესდგა ყველა თემის აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი (5 თემიდან).

ამ დროის განმავლობაში გატარებული იყო 8 სხვადასხვა კამპანია: ანტირელიგიური, პირველ მაისის, კოოპერაციის დღე, მიწის რეფორმის, ამხ ვოროვსკის მოკვლის გამო, ინგლისის ულტიმატუმის გამო, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და მენშევიზმის გახრწნის გამო.

პოლიტ. წრეების სხდომების რიცხვი ამ პერიოდში უდრის 57 (ეს ციფრი მინიმალურია ადგილებიდან ცნობების უქონლობის გამო), კომიაჩეიკებისა—61, საზოგადო სოფლის კრებების—75, სასოფლო კრებებზე დამსწრეთა საერთო რიცხვი (მთელი პერიოდის ჯამი)—29.686.

დიდ სოფლებში—20 მდე ქალთა ორგანიზატორია (ჯამი მთელი რაიონისთვის). ბანაკებში მდგომი ჯარისკაცებიც (არტილერისტები) ჩართული იყვნენ მუშაობაში.

სააგიტაციო მუშაობისათვის მოწვეული იყო 15 არმიელი კომუნისტი. ადგილობრივი ინტელიგენცია ჩაბმულია და ხალისით მონაწილეობს მუშაობაში. აგრონომები, ექიმები, „ლენინჩები“ (სულ 4) 8-ჯერ გამოვიდენ ლექციებით და მოხსენებებით მეცნიერულ პოპულიარულ თემებზე.

არსებობს სცენის მოყვარეთა დრამატიული წრეები. სარაიონო კომიტეტის ინიციატივით გამართული იყო 5 წარმოდგენა, მათ შორის: 2 ქართულ ენაზე და თითო-თითო რუსულ, თათრულ და გერმანულ ენებზე. წარმოდგენებს აგიტაციის ხასიათი ქონდა. გარდა ამისა გამართული იყო, აგრეთვე, ჩვენგან დამოუკიდებლათ წარმოდგენები ადგილობრივ (სართიჭალის) თეატრში. გაცილებით უფრო კონსერვატიულათ არიან განწყობილნი სარწმუნოების საკითხში ნემეცები კოლონია როზენფელდში,—ეს სახელი კოლონიას დაერქვა როზა ლიუქსემბურგის ხსოვნის საპატივცემოთ მარიენფელდის მაგიერ.

ე. ჭულფოვიჩი.

ქრონიკა

— **ამხ. ოკუჯავას დანიშვნა.** ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად, 13 აგვისტოდან ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ დაინიშნა ამხ. მ. ოკუჯავა.

— **ოთხშაბათი, 15 აგვისტო უქმე დღეა.** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, ოთხშაბათი, 15 აგვისტო (მარიამობა) უქმე დღეა.

— **შრომის კანონების დარღვევისათვის** შრომის ბირჟიდან წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მიცემულნი იქნენ შრომის სასამართლოში რკინის გზის დაწესებულებები, მუშა-მოსამსახურეების სამსახურში მიღების წესის დარღვევისათვის.

— **დავალიანება.** გორის კომუნალური განყოფილებას დაედო აღმშენებელ მუშების ვალი, რის გამო დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის საქმის სალიკვიდაციოთ ამ დღეებში გორში მიემგზავრება საგანგებო სესია.

— **გამორკვეულ საქმეების შესახებ.** შრომ. სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის სასამართლოებს ის საქმეები, რომელნიც გამორკვეულნი არიან კანონთა დარღვევის მხრივ და აღარ საჭიროებენ კვლევა-ძიებას, გადასწყვიტონ სასამართლოს ბრძანების საერთო წესით.

— **ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი.** სახ. სოც. დაზღვევის კომისარიატის ინიციატივით ტფილისში შესდგა ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს საკონტროლო-ადმინისტრატიული ფუნქციები.

— **ცხენთა მარულების მოწყობა სამხრეთ-ოსეთში.** სამხრეთ-ოსეთის მიწადმოქმედების კომისარიატმა დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები ცხენთა მარულების და ცხენების ქარხნის მოსაწყობათ ცხინვალში

— **მონოპოლია ლოტარეია ალეგრიზე.** სახ. კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის ძალითაც მთელს რესპუბლიკაში მონოპოლიური უფლება ენიჭება სოც. დაზღვევის სახ. კომისარიატს.

— **შეშა რკინის გზისათვის.** ა. კ. რკინის გზის სამმართველომ სიღნაღის მაზრაში იჯარით აიღო 330 დესეტ. ტყე. მიღებულია ზომები ზამთრის პირველ თვეებისათვის 5,000 კუბ. საჟენის შეშის დასამზადებლათ.

— **ს. მანთაშევის მკვლელი.** ვინაიდან ამ ბოლო ხანს ათასნაირი ხმები გავრცელდა სტეფან მანთაშევის მკვლელობის გარშემო (რომელიც მოხდა აპრილში, მიხაილოვის პრ 76) სისხლის სამართლის მილიცია აცხადებს, რომ აღნიშნული მანთაშევი მოჰკლა ცოლმა ეჭვიანობის ნიადაგზე, რაშიაც დანაშავეც გამოტყდა.

— **ტანისამოსი პენსიონერებისათვის.** საპენსიო კასამ დაადგინა ამერიკულ დამხმარე კომიტეტისაგან შეიძინოს კასის ფონდიდან ტანისამოსი თავის წევრებისათვის.

— **დამზღვევი კასების რაოდენობა ამიერ-კავკასიაში** ამ ჟამად ა. კ. ფედერატიულ რესპუბლიკებში დამზღვევი კასები ირიცხება სულ 40. აქედან საქართველოში 18, აზერბეიჯანში—16, სომხეთში—6 და ა. კ. რკინის გზაზე—7.

— **დახმარება წითელ საჰაერო ფლოტს.** ამხ ლენინის სახელობის 1-ლ ტყავის ქარხნის მუშებმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ გადასდონ ერთი დღის ხელფასი და იმუშაონ ერთი კვირა დღეს

— **ახალ-სენაკის მუშათა სახლი** ახალ-სენაკში მუშათა სახლის ასაშენებლათ საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა გადასდო 1 მილიარდი და 500 მილიონი.

— **მსახიობ კოჟევნიკოვის გასტროლები.** მუშათა ცენტრალურ კლუბში 25 აგვისტოდან დაიწყება პეტროგრადის სამხატვრო თეატრის მსახიობ-ტრაგიკოსის კოჟევნიკოვის გასტროლები. რეპერტუარი: „ურიელ-აკოსტა“, „ედმონდ კინი“, „ჰამლეტი“, „ოტელო“, „დამხრჩვალი ზარი“ და სხ.

მეტი ყურადღება ქალაქის პატარა ქუჩებს

დიდ ქუჩებს რომ გასცილდები, გეგონება მივიწყებულ პროვინციაში ხარ, ისე პატარა ქუჩები ჩამობნელებული. ასეთ ქუჩებზე არც მილიციონერი სდგას და არც მეეზოვე სჩანს, რის გამო აღნიშნულ ქუჩებში, ხდება ათასი სისაძაგლე: ქურდობა მეძაობა და სხვა. ეს ხდება რუსთაველის პროსპექტის ახლო მდებარე პატარა ქუჩებში, შესახვევებში, ჩიხებში და ადვილი წარმოსადგენია რა უნდა იქნეს განაპირა უბნების ქუჩებში. ცხადია უარესი. ქუჩები სავსეა უსუფთაობით, თვეში ერთხელ არ იგვება, რის გამო საშინელი ჰაერი სდგას. ამ მხრივ შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ მაგალითად ალექსანდრეს ბაღის შუა მიმავალი ქუჩა, რომელიც ფეხისადგილათ არის ქცეული და რომელიც სავსეა ყოველ ღამე საეჭვო პირებით ამავე მდგომარეობაშია კლასიკური ქუჩა, სასამართლოს ქუჩის ნაწილი თავის შესახვევებით და სხ. აღნიშნულ ქუჩებზე სახლებზედაც არ ჰკიდია ღამის ფარნები და ისე შეიძლება გაგქურდონ, ან მოგკლას ვინმემ, რომ მეორე დღემდე კაცი ვერ გაიგებს.

დარწმუნებული ვართ ქალაქის აღმასკომი სცდილობს ქალაქის გამშვენიერებას, მაგრამ ეს ცდა არ უნდა უნდებოდეს მარტო დიდ ქუჩებს. საჭიროა მილიციის საშუალებით წინადადება მიეცეს სახლის პატრონებს, რომ ყველა სახლზე ეკიდოს ფარანი და ენთოს ყოველ ღამე, ეს მით უფრო, რომ ამის შესახებ დადგენილებაც არსებობს. აგრეთვე წინადადება უნდა მიეცეს მეეზოვეებს ვალდებულებისამებრ დაგავონ ქუჩა ყოველ დღე, როგორც ეს ხდება დიდ ქუჩებზე და იდარაჯონ ღამე.

მორიგე მილიციონერსაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომელიც ორ ნაბიჯზე ტრიალებს და ხშირათ რომელიმე სახლის კარებთან სძინავს. რა თქმა უნდა ასეთი მილიციონერი ვერავის დაიცავს და ხშირად მისი გაქურდვა უფრო ადვილი მოსახერხებელია, ვიდრე უიარაღო მგზავრის.

აგრეთვე სასტიკათ უნდა აიკრძალოს ქუჩებში უსუფთაოების დაყენება. შენიშნული მგზავრი, რომელიც არ იცავს სისუფთავის დაცვის წესებს, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული. ასე ხდება ევროპის ქალაქებში და ეს მით უფრო უნდა ხდებოდეს აქ, სადაც ხალხის ჯანმრთელობას მეტი ყურადღება ექცევა საბჭოთა მთავრობის მიერ.

t.

ცნობა

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნ სტიპენდიანტების შესახებ.

საქ. კ. პ. ც. კ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილება იუწყება, რომ, თანახმად ცენტრალურ კომისიის დადგენილებისა, ქვემოთ დასახელებული პირები დანიშნული არიან რ. ს. ფ. ს. რ-ის უმაღლეს სასწავლებლების სტიპენდიანტებათ.

ც. კ-გან	1. ნუცუბიძე ი.	1-ლი მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი.
ტ. ქ. კ-გან	2. ქორიძე გ.	1-ლი მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი.
„	3. ჯანელიძე ი.	მოსკოვის უმაღლესი ტეხნ. სასწავლებელი.
„	4. კოსტანიანი	„ „ „ „
„	5. პეტროვა ფ.	1-ლ მოსკოვის უნივერსიტ. ფიზიკო-მათემატ. განყ.
„	6. რამიშვილი ამ.	1-ლი მოსკოვის სახ უნივერსიტ. საზოგადოებრივ მეცნ. ფაკულტეტის ეკონომიური განყოფილება.
„	7. მელიქ ეთოვი.	სახ. მეურნ. ინსტიტუტი კ. მარქსის სახელობისა.
„	8. ბეღელაძე გ.	1-ლი მოსკ. სახ. უნივ. საზოგ. მეცნ. ფაკულტეტის ეკონომიური განყოფილება.
„	9. კვიტაშვილი.	„ „ „
„	10. ბაგიროვი	კ. მარქსის სახელობის სახ. მეურნ. ინსტიტუტი.
ახალგ. კომკავშ. ც. კ-გან	11. ვარუნციან ქრ.	1-ლი მოსკ. სახ. უნივერსიტეტი.
„	12. ბასილაია	„ „ „
„	13. ვაშაყმაძე	„ „ „
„	14. ზახარიანი.	„ „ „
„	15. ბახტაძე.	„ „ „
„	16 ცინცაძე გრ.	პეტრ.-რაზ. სასოფლო-სამეურნეო აკადემია.
„	17. კიკვაძე.	მოსკ. უმაღლ. ტეხნ. სასწ.
„	18. ნაროუშვილი.	1-ლ მოსკოვის სახ. უნ-ის ფიზ.-მათემ. განყოფ.
„	19. ქანჯარაძე.	1-ლი მოსკ. სახ. უნ-ის სამთო-საინჟენერო ფაკ.
	მაზრებიდან:	
ბორჩალო	20. ალიევ ისკანდერ.	1-ლი მოსკ. სახ. უნ-ტის საზ. მეცნ. ფაკულტ.
ახალ-სენაკი	21. ნადარეიშვილი	„ „ „ „ „
„	22. გვილავა.	„ „ „ „ „
რაჭა	23. ბერიშვილი.	„ „ „ „ „
ოზურგეთი	24. ჩხარტიშვილი	„ „ „ „ „
თელავი	25. ლობჟანიძე.	1-ლი მოსკ. სახ. უნ-ის იურიდიული ფაკულტ.
სიღნაღი	26. დარჩიაშვილი.	მოსკოვის სამთო ინსტ. სამთო-მადნო ფაკულტ.
ქუთაისი	27. ჩხიკვაძე.	პეტრ.-რაზ. სასოფლო-სამეურნეო აკადემია.
აფხაზეთი	28.	კანდიდატები ჯერ არ არიან გამოგზავნილი.
	29.	
სამხრ.-ოსეთი	30.	
	31.	
განათლ. სახ. კომის—გან	32. რატიანი.	1-ლი მოსკ. სახ. უნ-ის საზოგად. მეცნ. ფაკ.
„	33. თავზარაშვილი.	„ „ „ „
„	34. კილარჯევი	„ „ „ „
„	35. ნოდია.	„ „ „ „
„	36. შახნაზაროვი მ.	პეტროგრ. უმაღლ. ტეხნ. სასწავლ.
„	37. ლალაევა.	სოც. აღმზრდელობის აკადემია.
„	38. სვანიძე.	„ „ „ „
საბჭ. მოსამს. კავშ. სტიპ.	39. არნაუტოვი	„ „ „ „
სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს.	40. ხოჯამიროვი.	1-ლი მოსკ. სახ. უნ-ის მედიკ. ფაკ.

ყველა ზემოდასახელებულ სტიპენდიანტებს წინადადება ეძლევა გამოცხადდენ ა. წ. 19 აგვისტოსთვის საქ. კ. პ. ც. კ. საგიტ.-საპროპ განყოფილებაში დღის 2 საათზე (საერთო კრებაზე) რ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნათ.

წინადადება ეძლევა ყველას თან წამოიღონ ყოველივე საჭირო საგნები: თეთრეული (ლოგინისა და ტანის) ფეხსაცმელები, შინელი და სხვა.

საქ. კ. პ. ც. კ. საგიტ. საპროპ. გან. გამგე კვირიკაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს ექვს ნახევარ საათზე ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში (მუშტაიდში) დანიშნულია მე-2 საუბნო კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა საუბნო კრება

დღის წესრიგი:

1 მოხსენება მუშათა ცენტრალურ კლუბის გამგის. 2 მოხსენება მე 2 უბნის ქალთა განყოფილების გამგისა მუშაობის შესახებ. 3. მიმდინარე საქმეები

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა სწორედ აღნიშნულ საათზე, დაუგვიანებლად.

2—1 მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი აცნობებს პარტიის მე-4 უბნის ყველა წევრებს, რომ რაიონის 4 ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს მუშათა ფაკულტეტზე.

მსურველებმა განცხადება უნდა წარმოადგინონ მე-4 საუბნო კომიტეტში აგვისტოს 20 დე.

პასუხის მგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი საყვედურს უცხადებს შემდეგ ამხანაგებს სახალხო განათლების კომისარიატიდან უჯრედის სხდომებზე დაუსწრებლობის გამო: სერგო შავიშვილს, მოსე კვარაცხელიას, ივანე კვარაცხელიას, მარიამ მალაქაშვილს.

მდივანი არუსტანოვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი უცხადებს საქ. კომ. პარტ. ტფ. ორგ. მე-4 საუბნო კომიტეტის ყველა წევრებს, რომ რაიონს დათმობილი აქვს 3 ადგილი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში.

მიღების ძირითადი მოთხოვნილება:

მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა—ბოგდანოვი; შრომის ისტორია—პოკროვსკისა; სოც.-დემოკრატიის ისტორ. მიმოხილვა—ბატურინი; რუსეთის კომპარტიის განვითარების ძირითადი მომენტები—ბუბნოვი; რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია—ზინოვიევი; სახელმწიფო და რევოლიუცია—ლენინი; რ. ს. ს. ფ. რ. კონსტიტუცია—სტუჩკასი.

განცხადებები მიიღება აგვისტოს 20-დე საუბნო კომიტეტის სამდივნოში.

მე-4 საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.
3—1

— საქართველოს კ. პ. ტფ. ორგანიზაციის 3 რაიონის კომიტეტი აცხადებს, რომ ა. წ. 15 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბში შესდგება მე-3 რაიონის წევრთა და კანდიდატების საერთო კრება.

მდივანი ა. ვართაპეტიანი.

— კომპარტიის ცენტრ. კომიტ. საალრიც. სასტ ქვე-განყოფილება გაუწყებთ რათა გამოცხადდეთ ორი კვირის განმავლობაში შემდეგი ამხანაგები:

1) ანასტასია ვლადიმერის ასული მესხი. 2) აგრაფინა ალექსანდრ. ასული ჭავჭანიძე-მხეიძე. 3) ისიდორე სილოვანის ძე თალაკვაძე. 4) ალექსანდრე ლუარსაბის ძე ფურცელაძე. 5) ნატალია იოსელიანი. 6) ალექსანდრა ლასას ას. დარახველიძე. 7) ნინო გრიგოლის ას. დიდიძე. 8 ნინა გიორგის ას. მგელაძე 9) სიმონ კონსტანტინეს ძე ბახტაძე. 10) შალვა ნესტორის ძე ოდელავაძე. 11) ერიკა ალექსანდრეს ძე საყვარელიძე. 12) გიორგი გიორგის ძე საყვარელიძე. 13) კორნელ ბახტაძე. 14) შუშანიკა გალდავა განათ. კომისარ. თანამშრ.

ც. კ-ის საალრიც. სასტატ ქვე განყ. მდივანი ტორჩინავა.

— რ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში მიმავალ საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სტიპენდიანტ სტუდენტების საყურადღებოდ:

წინადადება ეძლევა ყველა სტუდენტს სტიპენდიანტს გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 19 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათ. საზოგადო კრებაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა საუბნო კომიტეტში განცხადებები შემოიტანეს, რომ კომუნისტურ პარტიაში ჩაწერა სურთ. მე 2 საუბნო კომიტეტი სთხოვს ამხანაგებს და იმ პირთ, ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს ქვემოჩამოთვლილ პირთა წინააღმდეგ, 15 აგვისტომდე მიაწოდონ მასალები საუბნო კომიტეტს (პლეხანოვის პროსპექტი № 95).

1. ეგოროვი კონსტანტინე ანდრიას ძე—მუშა საბჭოთა ქარხნისა; 2. პანუნკო გიორგი სერგოს ძე—მუშა ტრანსპ. ცენტრალგანყოფ. გარაჟისა; 3. სარქისოვი მანუკ გრიგოლის ძე—მუშა 1-ლ ავტო-სახელოსნოსი; 4. ხაჩატუროვი სურენ მანუკას ძე—მუშა საბჭ. მე-8 ელექტ. სადგური; 5. იუგაი ალექსანდრე ვასილის ძე—ინტელიგენტი ქართ. არმ. ავტო-ნაწილ.; 6. ოჰანესიანი აშხენ ვასილის ასული—მუშა ქალი „კამ.ს“ სახ. თამბაქოს ქარხ.; 7. მირზოევი არშაკ წყალობას ძე—არსენალის მუშა: 8. მანუკიანცი სედრაკ ავდამის ძე; 9. დობროვსკი სტანისლავ ადამის ძე—არსენალის მუშა; 10. ვალტერი გიორგი თევდორეს ძე—ინჟ. ს. ს. ს. რ. სამხ. კომისარ. ავტო-ნაწილისა; 11, ბერიძე ალექსანდრე მაქსიმეს ძე—მილიციის მოსამსახურე; 12. ბერეჟნოვი მიხეილი ისიას ძე—მელითონ. კავშ. და საბჭოთა სახლების გამგე; 13. ბეგაშვილი ალექსანდრე აბრამის ძე—არსენალის შავი მუშა; 14. ბალდასაროვი გერასიმე კარაპეტას ძე—მეკოლოფე 1 სახელმწიფო კოლოფების ქარხნისა „ინტერნაციონალ“-ი; 15. გოგოლაძე ვას. სერ.—მოწაფე საყოველთაო განათლების კურსებისა; 16. დოშოიანი ვართან მარქარას ძე—„კამო“-ს ქარხნის მუშა; 17. ბუიძე ალექსანდრე სვიმონის ძე—მუშა, ქალაქის წყალსადენი; 18. ხორჩილაძე გიგო ზაქარიას ძე—ქალ. წყალსად. მუშა; 19. ეშანცი სარქის ავეტისას ძე—ქალ. წყალსად. მუშა; 20. თვარაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე—სახელმწიფო კოლოფის ქარხნ. მუშა; 21. ხაჩატუროვი ხორენ ვასილის ძე—მუშა სამკერვ. ქარხ.; 22. ცქიტიშვილი ალექსანდრე თომას ძე—ინტელ. მე-9 კომისარიატის უმცროსი თანამშრომელი; 23. რადიონოვი ივანე სვიმონის ძე—მუშა თამბ. ქარხნ. „პროლეტარი“.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

განცხადებები

სამშაბათს, 14 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში

შესდგება

აღმასკომის სხდომა.

დღის წესრიგი: 1) წყალზე სოციალურ დეფერენციალური ტარიფის შემოღების შესახებ; 2) ზაგესკომის და „მაშინ სტროის“ შორის დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება და ზაგესკომის ფინანსიური მდგომარეობა—მომხსენებელი ამხ. ღლონტი; 3) მიმდინარე საკითხები.

563—2—2 **პრეზიდიუმი.**

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **ბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—16

ელექტრონის სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—18

ვაცხადებ საყოველთაო ცნობისათვის, რომ პანაიოტი გიორგის ძე პანაგოპულო აღარ არის აწ შავი-ქვის მრეწველის ქრისტეფორე გიორგის ძე მონოლოპულო რწმუნებული.
ქრისტეფორე გიორგის ძე მანოლოპულოს რწმუნებული—ჟორჟ ჰოჟერი.
1067—3—2

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახ. მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში სამუილ პავლეს ძე ლევიტს, როგორც მოპასუხეს მისი ცოლის-ფლორა ლაზარეს ასული ლევიტის მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამის გამოქვეყნებისა, არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

(1072—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

დავკარგე პასპორტი ნიკოლოზ შეპილიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1075—1—1)

დავკარგე პასპორტი ბარბალე ნიკონოროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1075—1—1)

დავკარგე პასპორტი ვართან ანტონიანცისა და მარიამ ანტონიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1071—1—1)

დავკარგე პასპორტი ივანე ანტონიანცისა და შუშანა ანტონიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1070—1—1)

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 4865 ივანე ზაქარიას ძე შარაბიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1076—1—1)

დავკარგე სახლის ნაყიდობის საბუთები დარო ბატიაშვილის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ მომიტანოს კანონირის ქუჩა № 11. მიიღებს ჯილდოს. (1073—1—1)

დავკარგე 10 აგვისტოს მეექვსე უბანში შავ სოფელსა და ნავთლუღს შუა ჩემი ნაწერები: რამოდენიმე ლექსი, ერთი ეგზემპლიარი 1908 წელს გამოცემული წიგნაკათ „შრომის დროს ამონაკვნესი“, ფოტოგრაფიული სურათი, შემოწმებული მე 6 უბნის კომისარიატში და მოწმობა „კომუნისტი“-ს რედაქციიდან. მპოვნელს ვთხოვ გადასცეს „კომუნისტის“ რედაქციას. შაქრო ნავთლუღელი (კირაკოზოვი).

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, [illegible] ქუჩა № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა